



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბილი ბუქ-
უბი სიფყავა, ცუდილებით და ჭბრებით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯადისთბაჭე უსამაგლესია.



გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

შაბათი, 15 დეკემბერი. 2018 წ. №254-255 (8655-8656)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

საქართველოს პირველი ქალი-პრეზიდენტი პირობას დებს, რომ მტაცებელ რუსეთს შეაჩვენებს

THE SUNDAY TIMES



სტოლტენბერგი:

საქართველო წინ მიიწევს

3

თბილისში ღაბაგვილი ყველა საინაუგურაციო ღონისძიება გაუქმდა!

სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციისთვის და-
გეგმილი ყველა ღონისძიება, რომელიც თბილისში უნ-
და ჩატარებულიყო, გაუქმდა. მიზეზი საინაუგურაციო
კანონში შეტანილი ის ცვლილება გახდა, რომელიც პრე-
ზიდენტმა დღეს დაჩქარებული წესით გამოსცა.

შესაბამისად, სალომე ზურაბიშვილი 16 დეკემბერს
ალარ მივა პანთეონში და გამართა მემორიალთან, სადაც
ინაუგურაციის ძველი წესის თანახმად, პრეზიდენტი ფი-
ცის დადებამდე უნდა მისულიყო. გარდა ამისა, შესაძლოა,
გაუქმდეს წინანდელში დაგეგმილი მიღებაც, რომელიც
ინაუგურაციის შემდეგ უნდა გამართულიყო.


სალომე ზურაბიშვილი ინაუგურაციის შედეგ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ცვლილებებს გეგმავს

საქართველოს არჩეული პრეზიდენტი სალომე ზურა-
ბიშვილი ინაუგურაციის შემდეგ პრეზიდენტის ადმინის-
ტრაციაში რეორგანიზაციის ჩატარებას გეგმავს. ზურა-
ბიშვილი აცხადებს, რომ ახალი თანამშრომლები კონკურ-
სის წესითა და პროფესიონალიზმის ნიშნებით შეირჩევიან.

„იქნება რეორგანიზაცია, ცხადია, ახალი პრეზიდენტი შე-
მოდის და შემცირებულია საერთოდ ადმინისტრაცია, რაც
მიმართა სრულიად საჭიროდ, იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში არ
შეიძლება იყოს ან ზედმეტი ხარჯები ან ზედმეტი პერსო-
ნალი, მაგრამ რაც იქნება საჭირო ეფექტურობისთვის, ის
ადაამიანები იმუშავენ. რეორგანიზაცია იქნება, კონკურ-
სი და კანონი იქნება დაცული, რაც არის მთავარი“, – გა-
ნაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

სოსო სინსაძე:

სამთავრობო ცვლილებები ორთქლის გამოშვებისთვის?!



6

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ელის!

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ,
დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“
ქალაქისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად
უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მა-
მულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში
და ამით ხელი შეუწყვით 100 წლის ყოველდღიური გამოცე-
მის აღორძინებას.
ჩვენს ანგარიშში: №GE19TB7601536020100009. (შპს
„ახალი საუკუნე“).

მართლა რას არ კადრულობს ეს ილიოტი სააკაშვილი!



საბაკაშვილი საქართვე-
ლოს არჩეული პრეზიდენ-
ტის სალომე ზურაბიშვი-
ლის ინაუგურაციაზე საფ-
რანგეთის ყოფილი პრეზი-
დენტის ნიკოლა სარკოზის
დასწრებას ეხმაურება და
„ფეისბუქზე“ წერს.

„მას შემდეგ, რაც პრეზიდენ-
ტი აღარაა, ნიკოლა სარკოზი
ბოლო წლებში ჩადის ყველგან,
სადაც ფულს გადაუხდის. გან-
საკუთრებით ხშირად ფულს
უხდის რუსები რუსეთის ინ-
ტერესებთან დაკავშირებულ
ღონისძიებებში მონაწილეო-
ბისთვის.“

ასე რომ, იმ უპრეცედენტოდ
დაბალი დონის წარმომადგენ-
ლობის ფონზე, რაც „ინაუგურა-
ციაზე“ ჩამოდის, მისი გამოჩე-
ნა ზუსტად აჩვენებს, თუ ვინ უ-
ვითავს მუსიკას საქართველო-
ში და ვის დაკრულზე ცდილო-
ბენ, ააცეკვონ ქართველი ვრი“,
– წერს მიხეილ სააკაშვილი.

რედაქტორისგან:

მკითხველს შევახსენებთ, რომ 2008 წლის აგ-
ვისტოს ომის დროს საფრანგეთის პრეზიდენ-
ტი ნიკოლა სარკოზი ერთადერთი ევროპელი
ლიდერი იყო, რომელმაც გიჟი სააკაშვილის მიერ
საკუთარ ტერიტორიაზე გაჩაღებული ომი მოს-
კოვსა და თბილისს შორის მაღალი დიპლომა-
ტიური ავტორიტეტით შედგენილი ხელშეკრუ-
ლების წყალობით შეაჩერა და საქართველო „გო-
ნებით განუსჯელი რუსების“ უფრო დიდი აგ-
რესისგან იხსნა... სააკაშვილი ჯერ ყვიროდა –
„სარკოზი გადაგვარჩინა“, მერე... მართლა საზ-

რიანმა ნიკოლამ მიჩაძე პირში მიახალა: თბილი-
სის შემდეგ ყველაზე მეტი ქართველი მოსკოვში
ცხოვრობს და მალე რუსეთთან – გინდა თუ არა,
საერთო ენა უნდა გამოიხატოს!

ეს არ მოეწონა მიჩაძეს და აითვალწუნა მარ-
თლა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორი.
ვთქვამს პატრონს, მიხეილ! შენ რამდენი
გადაუხდა 2008-ში სარკოზის?

„ფრანგი“ სალომე ზურაბიშვილი ნამეტნა-
ვად ეამაყებათ გამზრდელ სამშობლოში და
მხოლოდ ამიტომ ჩამოდის საფრანგეთის დე-
ლეგაცია საქართველოში!



ოპოზიციური პარტიის რუსეთი იყო და ზუსტად ამას ასახავს სტრატეგიის განხილვა!

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ სტრატეგიის განხილვის განხილვის დროს განაცხადა. „იუსტიციის სამინისტრო ინტენსიურად მუშაობდა, რათა სათანადო შედეგისთვის მიგვეღწია. სტრატეგიის განხილვის განხილვის დროს განაცხადა, რომ 2008 წელს იყო. ყველაზე ვიცი, რომ ამ ომში აგრესორი რუსეთის ფედერაცია იყო, ამას ზუსტად ასახავს სტრატეგიის განხილვის განხილვა, თუმცა ამ განხილვის განხილვის ქართული მხარის, იუსტიციის სამინისტროს მხრიდან ძალიან მჭიდროდ და ზუსტად ამის შედეგად განხილვის განხილვა, რომელიც სტრატეგიის მიხედვით, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

16 დეკემბერი

ისტორიული დღეა!

ორშაბათიდან საქართველო საპარლამენტო მოდელზე გადავა. კონსტიტუციის ახალი რედაქცია ახალი პრეზიდენტის ფიცის დადებისთანავე ძალაში შევა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველო სრულად საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გადადის, რომელიც ყველაზე დემოკრატიული ფორმაა არის აღიარებული.

„90-იან წლებში ჩვენი მთავარი პრობლემა იყო, რომ სხვადასხვა ხელისუფლებას ავტოკრატიული რეჟიმის ჩამოყალიბების საშუალება ეძლეოდა. სრულად საპარლამენტო მმართველობაზე გადავიდეთ, რომელიც ყველაზე დემოკრატიული მმართველობის ფორმაა არის აღიარებული საყოველთაოდ. 2020 წლიდან პროპორციული საარჩევნო სისტემა ამოქმედდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. შემოღებული იქნება პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესი, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებაა“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისი შეფასებით, პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა საპარლამენტო მმართველობასთან თავსებადი არ არის. „ამის დასტური იყო ეს საპრეზიდენტო არჩევნები. საპრეზიდენტო კანდიდატები პროგრამებით ვერ გამოდიოდნენ და ხშირ შემთხვევაში, ტყუილი დაპირებების გაცემა უწევდათ. არჩევნები კონცენტრირებული იყო პიროვნულ თავდასხმებსა და შეურაცხყოფაზე. ეს იმ ნონსესის გამოძახილი იყო, რასაც საპარლამენტო მმართველობაში პირდაპირი არჩევნების ჩატარება ჰქვია. არასწორია და კარგია, რომ შემდეგი არჩევნები არაპირდაპირი წესით ჩატარდება“, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

„გაპარტიანებულ ოპოზიციას“ თელავში აქციის გასამართლად ალტერნატიული ტერიტორია შესთავაზა.


როგორც თელავის მერმა შოთა ნარეკლიშვილმა

განაცხადა, ადგილი, რომელიც გაერთიანებულმა ოპოზიციამ აქციისთვის აირჩია, შედის პრეზიდენტის ინაუგურაციის ტერიტორიის ფარგლებში და სახელმწიფო დაცვის კონტროლის ქვეშ არის მოქცეული.

თელავის მერიის უარი გაერთიანებულ ოპოზიციას აქციის გამართვის ადგილთან დაკავშირებით - მიუხედავად ამისა, ოპოზიცია გეგმის შეცვლას არ აპირებს.

თელავის მერიის უარი გაერთიანებულ ოპოზიციას აქციის გამართვის ადგილთან დაკავშირებით - მიუხედავად ამისა, ოპოზიცია გეგმის შეცვლას არ აპირებს. ამის შესახებ განაცხადებდა „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს წევრმა, თელავის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიორგი ბოტკოველმა გააკეთა.

„გუშინ მერის წერილი მივიღეთ ყოველად რაღაცაა, ყოველად არაარგუმენტირებული და საუბრობს რაღაც თემებზე, რომელიც, პირველ რიგში, მისი საქმე არ არის და რაღაც დაცვის თემებზე საუბრობს, რომ ეს ტერიტორია სჭირდება ინაუგურაციის ტერიტორიის დასაცავად. ამიტომ, მინდა ვუთხრა მერიას, რომ ჩვენ ვაპირებთ ზუსტად იქ, ერეკლე მეორის ძეგლსა და 800-ს წლიდან წადავს შორის არსებულ მოედანზე მშვიდობიან საპროტესტო მანიფესტაციას. ამიტომ, პირიქით, თხოვნა და მოწოდება გვაქვს მათ მიმართაც, პოლიციის მიმართაც და ყველა იმ სტრუქტურის მიმართ, რომელიც ვალდებულია, დაიცვას ჩვენი უსაფრთხოება, რომ ჩვენ იქ ვაპირებთ მშვიდობიან აქციას, კეთილი ინებონ, დაიცვან მშვიდობიანი მოქალაქეები, რომლებიც გამოხატავენ პროტესტს, რომელიც იქნება სრული ცივილიზებული ფორმით“, - განაცხადა გიორგი ბოტკოველმა.



შინ გაენაშენა პრეზიდენტის ინაუგურაციის საპარტიო საკმეთა სამინისტრო არჩეული პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციის დასაწყისში უცხოეთში პარტნიორთა სიას აქვეყნებს.

განაცხადებდა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხათუნა თოთლაძემ გააკეთა: - ინაუგურაციის ცერემონიას დაესწრება სომხეთის პრეზიდენტი, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი და ყოფილი თავდაცვის მინისტრი და სოციალურ საქმეთა ყოფილი მინისტრი, თურქეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სპიკერი, სერბეთის ეროვნული ასამბლეის სპიკერი, ჩეხეთის რესპუბლიკის სენატის პრეზიდენტი, ლიეტუვას სეიმის სპიკერი, პოლონეთის სენატის მარშალი და პრეზიდენტის კანცლარის ხელმძღვანელი, მოლდოვას ვიცე-პრემიერი, თურქმენეთის ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი, გაერთიანებული არაბეთის საემიროების კლიმატის ცვლილებების და გარემოს დაცვის მინისტრი, ბელარუსის ეროვნული ასამბლეის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ისრაელის ქნესეთის ვიცე-სპიკერი და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, სუამის გენერალური მდივანი, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ყირ-

გიზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ამერიკიდან სტუმარი გვეყვლება USAID-ის წარმომადგენელი და ასევე წმინდა საყდრის საგანგებო ემისარი.

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები შეაჯამა. შედეგები ოფიციალურად ცესკო-ს დღევანდელ სხდომაზე გამოცხადდა და ხელი მოეწერა შემაჯამებელ ოქმს. ცესკოს საბოლოო შედეგებით, „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ 780 680 ხმა - 40,48%, დამოუკიდებელმა საპრეზიდენტო კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა 1 147 701 ხმა - 59,52% მიიღო.

„არჩევნებთან დაკავშირებით ყველა საჩივარს კანონმდებლობის შესაბამისი რეაგირება მოჰყვა, დასრულებულია სასამართლო სხდომები და შეფასებები სადამკვირვებლო ორგანიზაციების დასკვნებშია მოცემული“, - აღნიშნავენ ცესკოში.

ნარკოტიკების დასრულებული შედეგების პირველი წელი

როგორც იყო ანაკლიის პორტის მშენებლობის პირველი წელი, როგორ ვითარდება საუკუნის პროექტი და როგორია სამომავლო გეგმები - „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ და „ანაკლია სითიმ“ ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტისა და სპეციალური ეკონომიკური ზონის მშენებლობის პირველი წლის შემაჯამებელი პრეზენტაცია გამართა.

ანაკლიის პროექტის შემაჯამებელი პრეზენტაციის საჯარო და ვერძო უწყებების, ბიზნესსწრეების წარმომადგენლები თუ საუკუნის პროექტის მშენებლობითა და პროგრესით დაინტერესებული პირები დაესწრნენ, სადაც ანაკლიის პორტისა და ანაკლია სითის მენეჯმენტმა ერთი წლის მანძილზე ჩატარებული სამუშაოების ანგარიში წარმოადგინა და პროექტის განვითარებისა და მშენებლობასთან დაკავშირებულ გეგმებზე ისაუბრა.

„ანაკლიის პორტი უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისთვის. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაგვიჩნია როგორც ჩვენი ხელისუფლების, ასევე დიდი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და გავლენიანი პოლიტიკური წრეების საერთაშორისო მხარდაჭერა, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის როგორც რეგიონალურ, ასევე გლობალურ მნიშვნელობას“, - განაცხადა ანაკლიის პროექტის თანადამფუძნებელმა ბადრი ჯაფარიძემ.

„საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა შავ ზღვაზე, რომელსაც არ გააჩნია ღრმანწყლოვანი პორტი და შავ ზღვაზე შემოსული საკონტინენტო გემების 75% შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ვერ შემოდის საქართველოში. ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტი უზრუნველყოფს ჩვენი დერეფნის კონკურენტუნარიანობას და ჩვენი ქვეყანა შეძლებს მაქსიმალურად გამოიყენოს ის ეკონომიკური ღირებულება, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო გააჩნია“, - განაცხადა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გენერალურმა დირექტორმა ლევან ახვლედიანმა.



საპატრულო პოლიციის რეორგანიზაცია

სისტემური განახლების ფარგლებში, საპატრულო პოლიციის რეორგანიზაციის შემდგომი ეტაპი გრძელდება. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს მხარდაჭერით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გადაამზადების რამდენიმე თვიანი კურსი დაასრულეს, შედეგად უახლოეს მომავალში მუშაობის ახალი სტანდარტი დაინერგება.



სიახლის მიხედვით, გამარტივდება პატრულ-ინსპექტორების შემთხვევის ადგილზე მუშაობის პროცედურული ნაწილი, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ავტოსაგზაო შემთხვევებში მონაწილე მძღოლების ადგილზე დაყოვნების დროს. ამერიკული მოდელის მიხედვით, პატრულ-ინსპექტორი შემთხვევის ადგილზე გამოიწვევს მხოლოდ საჯარიმო და ალკოჰოლური თრობის დამადასტურებელი ქვითრებს. ამისთვის კი შემუშავდა საქმის წარმოების ახალი ფორმა. შედეგად, მნიშვნელოვნად განიმუხტება გზებზე მოძრაობა და დაიზოგება ადამიანური რესურსი. სიახლე პირ-

ველ ეტაპზე შეეხება მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს.

ამავე რეფორმის ფარგლებში, საპატრულო პოლიციაში ინერგება ახალი ამერიკული მოდელი, რაც გულისხმობს სტანდარტულ, 2-კაციან საპატრულო ეკიპაჟებთან ერთად, ახალი პატრულ-ინსპექტორების დამატებას, რომლებიც პატრულირებას მენეჯერების გარეშე განახორციელებენ. შედეგად, მტკი ყურადღება დაეთმოება ქალაქის ქუჩებში საგზაო მოძრაობის რეგულირებას და პარკირების მონიტორინგის საკითხს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახაბერ საბანაძემ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) ხელმძღვანელმა მაიკლ მაკდონმა პატრულ-ინსპექტორებს სერტიფიკატები გადასცეს. დონისიების ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, სტუმრებს ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილის ინსტრუქტორებიც იღებდნენ.

საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის შესახებ ბრიტანული გამოცემა „THE SUNDAY TIMES“-ი ჟურნალის მეთიუ კეპაბალის ავტორიტეტით სტატიას აქვეყნებს, რომლის ძირითადი თემატიკაა, მცირედი შემოკლებულ ვერსიას სანდო-ფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს:



საქართველოს პირველი ქალი-პრეზიდენტი, პირობას ღებს, რომ მტასახალ რუსეთს უპასუვებს

გაათავისუფლა. მოგვიანებით ყოფილი მინისტრი პარლამენტის დეპუტატად იქნა არჩეული.

სალომე ზურაბიშვილმა ინაუგურაციაზე, სხვებთან ერთად, ფრანგი დიპლომატებიც მიიწვია, ცერემონიას მისი ქალიშვილი და ვაჟიც დაესრულებიან.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში, მიუხედავად სალომე ზურაბიშვილის ანტირუსული დამოკიდებულებებისა, ოპონენტებმა მას ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს, როდესაც „პრორუსული“ უძახეს. მათი მტკიცებით, სალომე ზურაბიშვილი მილიარდერის, ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მარიონეტია და სწორედ მან, „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელმა ამოიჩინა სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე წარსადგენად.

ბიძინა ივანიშვილი, რომელიც 30 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეფასებულ სასახლეში ცხოვრობს (ჯეიმს ბონდის მონანილეობით გადაღებული ფილმის გმირის მსგავსად), თავისი ზოოპარკით, ვერცხლისფერ სფეროზე მბრუნავი მოძრავი საბანკეტო დარბაზით და საცურაო აუზით. არსებობს ეჭვი, რომ იგი რუსეთთან არის დაახლოებული, სადაც თავისი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი დააგროვა.

პრეზიდენტობის მეორე კანდიდატმა, რომელმაც არჩევნები წააგო, განაცხადა, რომ ხმის მიცემა გაყალბდაო, მაგრამ თვითონ სალომე ზურაბიშვილი ამას უარყოფს და ამბობს, რომ იგი არავის მარიონეტი არ არის: „მე მხარს პარტია მიჭერდა და არა რომელიმე ადამიანი. მე ყოველთვის დამოუკიდებელი ვიყავი და ასეთად დავრჩები“. იგი ასევე კატეგორიულად უარყოფს პრეტენზიებს რუსეთისადმი მისი სიმპათიების თაობაზეც: „საქართველოში თუ პოლიტიკოსებს სურთ, რომ მოინახლოდნენ დაარტყან, მას პრორუსულობას აბრალებენ... მე არასდროს გავაკეთებ ისეთს არაფერს, რომ ჩემი ქვეყანა დაბრუნდეს იმ დროში, როდესაც ჩემი წინაპრები იძულებული გახდნენ, გაქცეულიყვნენ“. სალომე ზურაბიშვილის მტკიცებით, არჩევნებში მისი გამარჯვება საქართველოს ევროპისაკენ სწრაფების სიმბოლოა. არსებობს იმედი იმისა, რომ ქვეყნის პერსპექტივაში შუა საუკუნეების „ოქროს ხანა“ განმეორდება, როცა საქართველოს თამარი – მეფეპატი მართავდა.

„მე არ მსურს, თავი თამარ მეფეს შევადარო, მაგრამ ბევრი ქართველისთვის ეს კავშირი არსებობს: არის იმედი, რომ ისევ დადგება „ოქროს საუკუნე“... ეს შეიძლება სასურველი სინამდვილედ წარმოჩნდეს მივიღოთ, მაგრამ ამაზე ლაპარაკობენ“, – ამბობს სალომე ზურაბიშვილი.

„THE SUNDAY TIMES“ (დიდი ბრიტანეთი)

P. S. The Sunday Times - ბრიტანული კონსერვატიული საკვირაო გაზეთი, რომელსაც მდებარეობს „Times Newspapers Ltd“ გამოსცემს და რომელიც ფლობს ასევე გაზეთ „The Times“-საც. ტირაჟი - 1 მილიონ 200 ათასი ეგზემპლარი.

პარიზელი ძალბატონი ბრწყინვალედ გამოიყურება, როცა ფოტოგრაფს პოზირებს ტერასაზე, თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, სადაც წლების წინ საფრანგეთის ელჩი იყო. საქართველომ იმდენად დააფასა პარიზში დაბადებული და გაზრდილი სალომე ზურაბიშვილი, რომ მან უარი თქვა საფრანგეთის დიპლომატიურ სამსახურზე და საკუთარი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. ახლა მან კიდევ უფრო წინ გადადგა ნაბიჯი: იგი როგორც საქართველოს მეთაური ორიოდ დღეში პრეზიდენტის ფიცს დადებს.

სალომე ზურაბიშვილი პირველი ქალი საქართველოში, რომელიც ამ თანამდებობას დაიკავებს და გასაგებია, რომ ნერვიულობს, – იგი უნდა გაუძღვეს ისეთ ქვეყანას, რომლის ძალადობრივი წარსულიც შოკისმომგვრელ სტატისტიკას მოიცავს: „თბილისის მისი ისტორიის განმავლობაში 26-ჯერ გადაწვეს“, – მითხრა სალომე ზურაბიშვილმა, – საქართველოს ყოველთვის რთული მეზობლები ჰყავდნენ. ის ყოველთვის იყო ძლიერ სახელმწიფოთა შორის მოქცეული: ბიზანტიის იმპერია, ოსმალეთის იმპერია, სპარსეთი... ჩვენ ყველასაგან საფრთხე გველოდა“.

დღეს კი საქართველოს საფრთხე კრემლის სახით ჰყავს – რუსეთი განწყობილია ყოფილი იმპერიის ერთ-ერთი მარგალიტის დაკარგვით, სადაც, სხვათა შორის, საბჭოთა დიქტატორი იოსებ სტალინი დაიბადა. 2008 წელს რუსეთის ჯარები თბილისს მიუახლოვდნენ, შემდეგ კი, საფრანგეთის შუამდგომლობით დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების საფუძველზე, უკან დაიხიეს, მაგრამ გამიჯვნის ხაზთან ახლოს სამხედრო ბაზა დააარსეს. გასულ თვეში რუსებმა უკრაინასაც, კიდევ ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას, თავისი კუნთების ძალა აჩვენა შავ ზღვაზე. „ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა მოვეყიდოთ რუსეთის პროვოკაციულ მოქმედებას, რადგან არასოდეს არ ვიცით, გადაიზრდება თუ არა მისი მოქმედება აგრესიასა და ომში“, – ამბობს სალომე ზურაბიშვილი.

საქართველოს ახალ პრეზიდენტს მოსკოვთან მუშაობის გამოცდილება აქვს: საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობის დროს, 2005 წელს, სალომე ზურაბიშვილმა თავის კრემლელ კოლეგასთან – სერგეი ლავროვთან მოლაპარაკებაში წარმატებას მიაღწია საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ჯარების გაყვანის საკითხზე. ახლადარჩეუ-

ლი პრეზიდენტის თქმით, მისი „ცხოვრების მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება. თავიდან უნდა იქნეს აცილებული ქვეყნის კვლავ რუსეთის იმპერიის გავლენის სფეროში დაბრუნება. ეს ჩემთვის ერთ-ერთი წითელი ხაზია“.

66 წლის სალომე ზურაბიშვილის დიდი ბებია და ბაბუა არისტოკრატები იყვნენ და იძულებული გახდნენ, სამშობლო საუკუნის წინათ დაეტოვებინათ – ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, როცა მათ საფრთხე დაემუქრა.

იგი გაიზარდა ოჯახში, სადაც მუდამ საქართველოზე ლაპარაკობდნენ. სწავლობდა პარიზის პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში... 1968 წელს იგი შეუერთდა სტუდენტურ მოძრაობას, რომელმაც მთელი საფრანგეთი მოიცვა. „მაგრამ საბრტისტო აქციებში მონაწილეობა აღარ მიმიღია მას შემდეგ, რაც იქ წითელი დროშები დავინახე“, – ამბობს სალომე ზურაბიშვილი. მისი ოჯახის წევრებში „ალერგიას იწვევდა“ კომუნისტური სიმბოლოები, ჩაქურჩნამგალი. მათ, ქართველ ემიგრანტებს, იმედი ჰქონდათ, რომ დადგებოდა დღე, საბჭოთა იმპერია დაინგრეოდა და საქართველო საბჭოთა უღლისაგან გაათავისუფლდებოდა.

„ჩვენ ისეთ მსოფლიოში ვცხოვრობთ, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. სი-

ტუაცია სწრაფად იცვლება და ამიტომ ჩვენ ყველაფრისათვის მზად უნდა ვიყოთ“, – ამბობს სალომე ზურაბიშვილი. იგი დარწმუნებულია, რომ საქართველო ევროკავშირისა და ნატოს წევრი გახდება – მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი იმუქრება, დასავლეთ ევროპას კი ენთუზიაზმი არა აქვს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში განკერძონებისათვის.

როცა სალომე ზურაბიშვილი თავის ისტორიულ სამშობლოში პირველად ჩავიდა, 1986 წელს, აშშ-ში არსებულ საფრანგეთის საელჩოში მუშაობის დროს, საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა. „მაგრამ თავს მაინც ისე ვგრძობდი, როგორც საკუთარ სახლში“. იგი თბილისში საფრანგეთის ელჩის სტატუსით დაბრუნდა 2003 წელს, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ წინ, რომლის შედეგად საქართველოს ხელისუფლებაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსული ყოფილი კომუნისტური გვარდიის ხელისუფლება დაემხო.

მიხეილ სააკაშვილმა, ნეოლიბერალმა, რომელიც პრეზიდენტი გახდა, 2004 წელს სალომე ზურაბიშვილი საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა, მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ თანამდებობიდან

სტოლტენბერგი: საქართველო წინ მიიწევს

NATO-ს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, საქართველო წინ მიიწევს და ეფექტურად იყენებს ყველა მექანიზმს ინტეგრაციის გზაზე, რაც მას NATO-ს წევრობასთან აახლოებს.

ამის შესახებ ალიანსის გენმდივანმა NATO-საქართველოს კომისიის სხდომაზე განაცხადა, რომელიც NATO-ს შტაბ-ბინაში მუდმივი წარმომადგენლების დონეზე გაიმართა.

მისივე თქმით, საქართველომ შთამბეჭდავ პროგრესს მიაღწია ყოველსადაც რეფორმების გატარების პროცესში და წარმომადგენს თვალსაჩინო მაგალითს დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით.

სტოლტენბერგის განცხადებით, 2018 წელი NATO-საქართველოს ურთიერთობების თვალსაზრისით საკმაოდ დინამიკური იყო, რისი ნათელი დადასტურებაა ივლისის სამიტის ფარგლებში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრა საქართველოსთან და უკრა-

ინასთან უმაღლეს დონეზე და ერთობლივი განცხადების მიღება. „საუბარი შეეხო შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებს. აღინიშნა, რომ ალიანსი შემოფოტებულია რუსეთის აგრესიული ქმედებების გამო, როგორც საქართველოს, ასევე უკრაინის მიმართ. მოკავშირეებმა მზადყოფნა გამოთქვეს, რომ გაღრმავდნენ თანამშრომლობა საქართველოსთან შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების მიმართულებით. შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მოკავშირეებს მიანოდა ინფორმაცია სეპარატისტულ რეგიონებში რუსეთის სამხედრო ყოფნის გაძლიერებისა და მძიმე უსაფრთხოებისა, ისევე მძიმე ჰუმანიტარული სიტუაციის შესახებ. სხდომაზე, ალიანსის მხრიდან პოლიტიკური მხარდაჭერის გარდა, გამოიხატა მზაობა, გაგრძელდეს საქართველოს პრაქტიკული დახმარება, მათ შორის ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტის ფარ-



გლებში მიმდინარე პროექტების იმპლემენტაციის კუთხით, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოს, როგორც ნატო-ს ასპირანტ ქვეყანას, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთოევროპული ატლანტიკური უსაფრთხოებაში“, – ნათქვამია საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



პრეზიდენტის სასახლეზე... ორბელისა?

მინისტრთა საბჭო იყო განთავსებული, პრეზიდენტის და მისი აპარატისთვის გადაცემა. პრეზიდენტი შევარდნაძის დროს უცხოელი სტუმრების მიღება სწორედ იქ ხდებოდა. ბატონი შევარდნაძე, რომლის სამუშაო კაბინეტი სახელმწიფო კანცელარიაში იყო, სტუმრების მისაღებად პარლამენტის შენობაში გადმოდიოდა.

ჯერ იყო და პარლამენტის შენობის დანგრევა მოინდომეს 1991 წლის ომის შემდეგ, თითქოსდა „სატანის“ ბუდეაო. ეს რომ არ გამოუვიდათ, ბიზნეს-ცენტრის გახსნა მოინდომეს ამ უნიკალურ შენობაში, ხოლო პარლამენტის ახალი შენობის აშენება თბილისის ზღვაზე გადაწყვიტეს, რამეთუ თავიდან აეცილებინათ თბილისის ცენტრში, პარლამენტის შენობის წინ მიტინგები და სახალხო შეკრებები.

„რა მნიშვნელობა აქვს, რომელი პატივმოყვარე ხელისუფლის სახელს უკავშირდება ამ სასახლის მშენებლობა. ის ბოლოს და ბოლოს ჩვენი ხალხის შრომა-რუდუნებით შემდგარი ბიუჯეტით არის წამოჭიმული თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს ადგილას“, – წერს გურამ ნიკლაური გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ა.ნ. 11 დეკემბრის ნომერში.

წერილის ავტორის პათოსს ვიზირებ და მხარს ვუჭერ. დიას! პრეზიდენტის სასახლეში ბინა უნდა დაიდოს ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა, ნაცვლად ათონელის ქუჩაზე მდებარე ორბელიანების სასახლისა.

სალომე ზურაბიშვილის მიერ საარჩევნო კამპანიის დროს გაკეთებული განცხადება მის თავმდაბლობას მივანეროთ და მოვუწოდოთ მას დაიკავოს ის შენობა, რომელშიც უკვე საქართველოს 2 პრეზიდენტი მუშაობდა.

ორბელიანების სასახლე არაფრით არ შეესაბამება „სასახლის“ სახელის მატარებელ შენობას. მას უდავოდ ჰქონდა ხიბლი ორბელიანების დროინდელ თბილისში. დღეს, ნაკლებად, მიუხედავად რეკონსტრუქციისა – მიშენებმოშენებისა. ამ „სასახლეში“ გასული საუკუნის სამოციან წლებში განთავსებული იყო საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საქართველოს საზოგადოება და საგარეო საქმეთა სამინისტრო. შემდეგ, საქართველოში აშშ-ის საელჩო.

ქონდა ბედნიერება მემუშავა იმუამინდელ საგარეო უწყებაში, რაც შესაძლებლობას მაძლევს – ვილაპარაკო აღნიშნული შენობის ავტორზე. თავიდანვე ვიტყვი – შენობა, ასე თუ ისე ძნელად აკმაყოფილებდა მასში განთავსებული დანერგულ ბუნების მოთხოვნებს, მაგრამ სრულიად შეუფერებელია (მიუხედავად მიშენებისა) პრეზიდენტის ინსტიტუტისთვის.

შენობის პრეზიდენტის სასახლედ გადაქცევის შემდეგ დაკნინდება თვით პრეზიდენტის ინსტიტუტი. არადა, დროშასთან, გერბთან, ჰიმნთან ერთად პრეზიდენტის სასახლე სიმბოლო და სახეა ქვეყნის. სასახლე ისეთივე ხელშეუხებელია, როგორც ჰიმნი, დროშა, გერბი.

საბჭოთა საქართველოს, ბუნებრივია, არ ჰქონდა პრეზიდენტის სასახლე. საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში გაჩნდა პრეზიდენტის სასახლის აშენების აუცილებლობა. სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე შესაძლებ-



ლობა მქონდა, მენახა ზოგიერთი მათგანი, ზოგიც ტელევიზიის საშუალებით გახდა ცნობილი როგორც ჩემთვის, ისე თქვენთვის.

თურქმენეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ბელარუსის, აზერბაიჯანის პრეზიდენტების სასახლებთან შედარებით საქართველოს პრეზიდენტის სასახლე ერთობ მოკრძალებულად გამოიყურება. და იმასაც ვანადგურებთ? პრეზიდენტის ინსტიტუტი, თვით პრეზიდენტი, რაც არ უნდა შეზღუდული უფლებებისა იყოს, ვიმეორებ, ქვეყნის სახე და სიმბოლოა. მას ყოველთვის ექნება წარმომადგენლობითი ფუნქცია, რომელიც პროტოკოლის თვალსაზრისით არავის გაუუქმებია.

წლების განმავლობაში ქვეყნის პროტოკოლის სამსახურის უფროსად მუშაობამ დამანახა ის პრობლემები, რომლებიც საბჭოთა საქართველოდან დაწყებული, პრეზიდენტის სასახლის აშენებამდე ჰქონდა ქვეყანას. პრეზიდენტის სასახლის აუცილებლობამ უმაღლიანა თავი გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევისთანავე.

იყო რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის „პიონერთა სასახლის“ შენობის პრეზიდენტისთვის გადაცემა, თუმცა თვით პრეზიდენტმა თქვა უარი, ბავშვებისთვის სასახლის ჩამორთმევაზე. ბოლოს გადაწყდა მთავრობის სასახლის იმ ნაწილის, სადაც საბჭოთა კავშირის დროს

ასე გაგრძელდა სააკაშვილის დროსაც – პრეზიდენტის სასახლის აშენებამდე. ამ სასახლის აშენებით მოხსნა უდიდესი პრობლემა, რომელიც არსებობდა სასახლის უქონლობის გამო. თვით სასახლე უსაფრთხოებისა და პროტოკოლის სრული დაცვის თვალსაზრისით არის აშენებული. მაღალი რანგის სტუმრების დახვედრის ცერემონიალი სასახლის წინა ეზოში იმართება. თვით სასახლის მდებარეობა ქალაქს არ უქმნის დამატებით პრობლემებს – ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა სახით, რაც გამორიცხებული იქნება ათონელის ქუჩაზე. თბილისელებს არ დავინცვითათ ტრანსპორტის საცობები და ფეხით მოსიარულეთა პრობლემები, როდესაც ორბელიანების სასახლეში აშშ-ის საელჩო იყო განთავსებული. არც შენობის წინ, შუაგულ ქუჩაზე აშენებული დამცავი კედელი დავინცვითათ.

დღევანდელი სასახლე ვილაცვილაცებს დიდ ფუფუნებად მიაჩნიათ ლატაკი სახელმწიფოსთვის. როგორც ჩანს, მათ სამარადისოდ გადაუნურავეთ იმედს საქართველოს ნათელ მომავალზე. დღეს თუ არა, ხვალ ქვეყანა რომ ფეხზე წამოდგეს და გაჩნდეს მოთხოვნილება პრეზიდენტის სასახლის აშენებაზე – ახალი ავაშენოთ? ისევე ყვართო ფული ახლის მშენებლობაში?

რა გეჭირს? რა ავადმყოფობა შეგვეყარა დამოუკიდებლად არსებობის პერიოდში?

ვაი, ჩვენს თავს! მავანი იმასაც ამბობს – პრეზიდენტის სასახლის შენახვა (განათება, დასუფთავება, სხვა ტექნიკური მომსახურება) ძვირი ჯდებაო. და ამას ამბობენ ისინი, ვინც ვერ ამჩნევენ კოსტავას, პეკინის, ბულაჩაურის ქუჩებზე გაჩენილ „ველოტრეკებს“, ავტომანქანების შევიწროებულ გზას, რაც იწვევს ხანგრძლივ საცობებს, ავტომანქანების გამონაბოლქვის ზრდას და ა.შ.

მავანი იმასაც ამბობს, რომ სააკაშვილის უზნეობის და გარყვნილების „ნასასახლარი“ არ უნდა იყოს, უნდა დაინგრეს ან გასხვისდეს!

ჩვენი რომ არ ვიცით, იქნებ სხვისი მაგალითებით გვეხელმძღვანელა?

ბოლშევიკებს თუ რა დონეზე სძულდათ მეფე – კარგად არის ცნობილი, მაგრამ მშვენივრად აითვისეს კრემლი. სულ ახლახან, „დიდი ოცეულის“ სამიტის დროს არგენტინის პრეზიდენტმა მაკრიმ ვარდისფერ სასახლეში უმასპინძლა მსოფლიოს ლიდერებს. იმ სასახლეში, სადაც სამხედრო ხუნტის თავი, იმუამინდელი გენერალი და პრეზიდენტი გალტიერი იმყოფებოდა.

ეს ის პრეზიდენტი, რომელმაც ფოლკლენდის კუნძულებისთვის ომი გააჩაღა დიდ ბრიტანეთთან. თუ როგორ დასრულდა ეს ამბავი, ვიცით. არგენტინა დამარცხდა, ხოლო ხუნტას არგენტინელებმა წირვა გამოუტანეს და პრეზიდენტი გალტიერი ციხეში გაისტუმრეს. ახალ პრეზიდენტს და მის შემდგომებს თავში აზრადაც არ მოსვლიათ ძველის სანაცვლოდ ახალი სასახლის აშენება.

სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება, მაგრამ ესეც კმარა.

დასასრულ, მაღლობა უნდა გადავუხადო ბატონ გურამ ნიკლაურს და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას, მართლაც მამულიშვილური წერილისთვის და მოვუწოდო ხელისუფლებას, ქარს არ გაატანოს რის ვაი-ვაგლობით ან ყობილი ახალი საქართველოს ტრადიცია – პრეზიდენტის ავლაბრის სასახლის სახით.

დიას! საქართველოს აუცილებლად ესაჭიროება პრეზიდენტის სასახლე! ასეთი კი ისაა – ავლაბრისა რომ ჰქვია!..

**კამელიტ
ჭიკაშვილი,**
პოლიტოლოგი.



„გარდაცვალება კალდეულების შენწყობას არ ინაჟს...“

ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, ბაზეში შესაძლებელია იყოს მონაცემები გარდაცვლილ პირთა სასესხო დავალიანების შესახებ, რადგან მოვალის გარდაცვალება ავტომატურად არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას სასესხო ურთიერთობებში.

„საბანკო და საფინანსო დანერგულებების მონაცემთა ბაზეში შესაძლებელია იყოს მონაცემები გარდაცვლილ პირთა სასესხო დავალიანების შესახებ, რადგან მოვალის გარდაცვალება ავტომატურად არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას სასესხო ურთიერთობებში, თუ მხარეები ხელშეკრულე-

ბაში სხვაგვარად არ არიან შეთანხმებული. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მის სამკვიდრო ქონებაში შედის მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებები, ისე მთავლობები, რომელიც მას სიკვდილის მომენტისათვის

ჰქონდა. ამასთან, მემკვიდრეები ვალდებული არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მემკვიდრეობით მიღებული აქტივის ფარგლებში“, – განმარტავენ სამინისტროში.

www.Vali.Ge

შეიყვანეთ ინფორმაცია

პირადი ნომერი

დღე/თვე/წელი

დასაფუძნელი თარიღი

მე არ ვარ რობოტი

გადავამოწმე

შეიყვანეთ ინფორმაცია

პირადი ნომერი

დღე/თვე/წელი

დასაფუძნელი თარიღი

მე არ ვარ რობოტი

გადავამოწმე

კალდეულების ბანკის პროგრამაში პენსიონერები პირ მოხვდნენ

პენსიონერების განულებების პროგრამა – აღნიშნული ინიციატივაში პენსიონერები ვერ მოხვდნენ. მათ, ვისაც სესხის სახით პენსიის ნაწილი წინასწარ აქვთ აღებული, ახლა ყოველთვიურად თანხის განახევრებულ რაოდენობას იღებენ, რადგან ნაწილი ანგარიშიდან სწორედ ამ სესხის დასაფარად ექვრებათ.



– თავდაპირველად ხაზი მიიწიდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, რომლის რამდენიმეკაციანი დელეგაცია მისი პრეზიდენტის, ბატონი ჩუნლი ბაის ხელმძღვანელობით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ორიოდე დღის წინათ სტუმრობდა, მსოფლიოში გამოჩენილი სამეცნიერო უწყებებია, რომელმაც წლების მანძილზე თავისი ძველი სტრუქტურის შენარჩუნება შეძლო. მის შემადგენლობაში ასევე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შედის, რომელიც ქვეყნის ყველა მხარეშია განთავსებული და მეცნიერების უკლებლივ ყველა სფეროს მოიცავს. ცალკე აღსანიშნავია ასევე ის მეტად საგულისხმო გარემოება, რომ ყველა სხვა სასიკეთო საქმესთან ერთად, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიას ასევე რამდენიმე უნივერსიტეტიც აქვს დაფუძნებული. მისი მოღვაწეობის მასშტაბისა და მნიშვნელობის უკეთ წარმოსაჩენად, ვფიქრობ, აზრი აქვს იმის აღნიშვნასაც, რომ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ამავდროულად მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრია!

ხაზგასასმელია ისიც, რომ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია უმძლავრესი ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც კვლევებს მეცნიერების ფაქტობრივად ყველა დარგში აფინანსებს და უზარმაზარი თანხებით ოპერირებს. ხოლო, როცა თანამედროვე სამეცნიერო კვლევების წარმართვისას მკვლევარებს „ფინანსური არტახები“ ნაკლებად აწუხებთ, დამეთანხმებით, ეს საბოლოო წარმატების მიღწევის საუცხოო წინაპირობაა. ასევე საგულისხმოა ისიც, რომ თუკი იქაური ეროვნული აკადემიური სამეცნიერო უწყების მიერ წარმოებული კვლევითის რომელიმე უცხოელი სპეციალისტის მიწვევა აუცილებელია, ამის განხორციელებას, ხარჯის მიუხედავად, წინ არაფერი უდგას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მეცნიერე-

ბატონი ჩუნლი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შორის საქმიანი კონტაქტების ბოლოდროინდელი გაღრმავება-გააქტიურების შესახებ ჩვენს გაზეთში ცოტა ხნის წინათაც ვწერდით – მაშინ საუბარი აკადემიის პრეზიდენტ ბიორბი კვისიტაძის ჩინეთში ამასწინანდელი ვიზიტისა და ბიოტექნოლოგიების დარგში ურთიერთთანამშრომლობის საუცხოო პერსპექტივებზე გვექონდა. „საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველდღიურ თემატიკაში, ასე ვთქვათ, „ჩინური თემის“ ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება ჩავთვალოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ბატონი ჩუნლი ბაის რამდენიმე დღის წინანდელი ვიზიტი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, რომლის შესახებ აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელს, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს რამაზ ხუროძეს ვესაუბრეთ.

აკადემიკოსი რამაზ ხუროძე:

გაპირინათ ბონიერი და ქლიერი მებრძობარი

ბათა ეროვნული აკადემიისთვის მჭიდრო კონტაქტების დამყარებას ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიასთან უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ცნობილია და ამის თაობაზე რამდენიმე დღის წინათ თქვენს გაზეთშიც იყო აღნიშნული, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვეციანი ცოტა ხნის წინათ სწორედ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გახლდათ ვიზიტად, სადაც განხილვის საგანი, სხვა საკითხებთან ერთად, ორ აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო ხელშეკრულება იყო. თავად იგი ბიოლოგიურ ნანოტექნოლოგიებისა და ბიოქიმიის სფეროში მოღვაწეობს, რაც ამჟამად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროგრესულ მიმართულებას წარმოადგენს. ამდენად, ქართულ-ჩინურ სამომავლო სამეცნიერო თანამშრომლობას ძალზე ფართო ასპარეზი ეშლება.

კონტაქტების გააქტიურებისა და სიმჭიდროვის კიდევ ერთი გარანტი ასევე ისიცაა, რომ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ბატონი ჩუნლი ბაი თავადაც ბიოლოგია და სწორედ ნანოტექნოლოგიების სპეციალისტი. გარდა ამისა, იგი ამავდროულად მსოფლიო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტიც გახლავთ, რომლის შტაბბინა იტალიაშია.

ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია დიდ ინტერესს იჩენს საქართველოს მიმართ, რაც, როგორც ჩანს, გარკვეული ისტორიული ურთიერთობითაცაა განპირობებული. ჩინელები კარგად იცნობენ ქართველ მეცნიერთა კვლევებს სხვადასხვა სფეროში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსოფლიოში არ არის წამყვანი სამეცნიერო მეცნიერული ჟურნალი, გამოცემა, სადაც ქართველ მეცნიერთა ნაშრომები არ იბეჭდებოდეს, რაც სამაგალი მკვლევარებს მსოფლიო ავტორიტეტს უქმნის, დამსახურებულადაც.

ერთი სიტყვით, საქართველოსა და ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ახლო მომავალში ხელშეკრულების დადებას დიდი მნიშვნელობა აქვს. რამდენიმე ჩვენი მეცნიერი კი უკვე მუშაობს კიდევ ჩინეთის კვლევით ცენტრებში.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გაისადა, ალბათ, წლის პირველ ნახევარში, საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება, რომლის მომზადების დავალება ბატონმა ჩუნლი ბაიმ თბილისში ყოფნის დროს მისცა შესაბამის ქვედანა-



ყოფს. მასში, როგორც ჩანს, თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებებიც იქნება განსაზღვრული. წელან მოგახსენეთ, რომ ბატონი ჩუნლი ბაი ასევე მსოფლიო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტიცაა, რომელმაც თბილისში ყოფნისას ბრძანა, რომ დღესდღეობით მსოფლიო აკადემია დაახლოებით ათას ახალგაზრდა მკვლევარს აფინანსებს სამყაროს სხვადასხვა ქვეყნიდან, მაგრამ მათ შორის, სამწუხაროდ, საქართველოდან არავინ არის. ამის გამოსასწორებლად ჩინელ სწავლულს გადამწყვეტილი აქვს ქართველი ახალგაზრდა მეცნიერებისთვის ნებისმიერ დარგში საგანგებოდ გამოყოს სტიპენდიები და მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრებში მიავლინოს.

კიდევ ერთი გარემოება, რომელზეც აუცილებლად მიიწიდა გავამახვილო ყურადღება, ესაა ჩინეთის მხარის საქართველოს ბოტანიკური ბაღებით დაინტერესება. თბილისისა და ბათუმის დენდროპარკებში, რომლებიც გარდა შესანიშნავი ლანდშაფტური პანორამებისა, მცენარეთა უმდიდრესი კოლექციით გამოირჩევა, ფლორის არაერთი უნიკალური ნიმუშია წარმოდგენილი, რომელიც ჩინელი სპეციალისტების ყურადღების არეალშია მოხვედრილი. ამ უნიკალურ მცენარეთა ნიმუშების წაღებას ისინი აქედან აპირებენ. საქმე ისაა, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის ხელშეწყობით, რომელიც ბუნების მიმართ თავისი განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩევა, თბილისისა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღებში უამრავი სრულიად უნიკალური, იშვიათი მცენარეა, რომელთა შემდგომი თაობები უკვე ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკურ ბაღებში გაახარებენ მნახველთ.

ბოლოს კი იმის თქმა მიიწიდა, რომ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის სახით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ძლიერი და კეთილგანწყობილი პარტნიორი გაიჩინა.

ესაუბრა
ოთარ ტურაბაიძე



საქართველოში ავღანეთიდან სატრანზიტო მოძრაობა დაიწყება

საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო მოძრაობა დაიწყება „ლაპის ლაზულის“ მარშრუტით, რომელიც ავღანეთიდან ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის გავლით ევროპაში სატრანზიტო მოძრაობას ითვალისწინებს, უახლოეს პერიოდში სატრანზიტო გადაზიდვა განხორციელდება. პირველი საპილოტე გადაზიდვა საავტომობილო ტრანსპორტის საშუალებითაა დაგეგმილი.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულ ტრანზიტთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები განიხილეს ავღანეთის ქალაქ ჰერათში სატრანზიტო-სატრანსპორტო დერეფნის „ლაპის ლაზულის“ ექსპერტთა ჯგუფის მე-2 შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს და სს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენლები დაესწრნენ. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ ავღანეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და თურქმენეთის წარმომადგენლები.

შეხვედრაზე „ლაპის ლაზულის“ მარშრუტის მონაწი-

ლე ქვეყნების წარმომადგენლებმა განიხილეს აღნიშნული მარშრუტის ფარგლებში სარკინიგზო გადაზიდვების განვითარების საკითხები.

აღსანიშნავია, რომ „ლაპის ლაზულის“ მარშრუტის განვითარებას ითვალისწინებს შეთანხმება სატრანზიტო და სატრანსპორტო თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც ხელი 2017 წლის 15 ნოემბერს ქ. აშხაბადში (თურქმენეთი) მოენერა ავღანეთის თაობაზე რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის კონ-



ფერენციის (RECCA-VII) ფარგლებში. შეთანხმება ქმნის სუთ ქვეყანას შორის (ავღანეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი) თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძველს. იგი წარმოადგენს ჩარჩო შეთანხმებას, რომლის დებულებები არეგულირებს სატრანზიტო მიმოსვლას, რომელიც იწყება ან სრულდება ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე და ტვირთისა და მგზავრების გადაადგილებას ხელშემკვერელი მხარეების შესაბამის დერეფნებს შორის.

კერძოდ, შეთანხმება ხელს უწყობს ხელშემკვერელი მხარეების ტერიტორიებზე დაუბრკოლებელ გადაადგილებას, სატრანზიტო მოძრაობასთან დაკავშირებული აუცილებელი ადმინისტრაციული საკითხებისა და პროცედურების გამარტივებას, უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალებების, ტვირთისა და მგზავრების უსაფრთხოებას.

შეთანხმების თანახმად გადაზიდვები განხორციელდება ხელშემკვერელი მხარეების მიერ წინასწარ განსაზღვრულ საავტომობილო, სარკინიგზო და შიდა სამდინარო სატრანზიტო მარშრუტებზე.

არაოფიციალური ინფორმაციით, სამთავრობო ცვლილებები შესაძლოა, ინაუგურაციის შემდეგ ახალ წლამდე, ან ახალი წლის დღეებში განხორციელდეს. პარლამენტის თავმჯდომარის უარყოფის მიუხედავად, თითქოს მთავრობაში საკადრო ცვლილებები დაგეგმილი არ არის, სახელისუფლო გუნდის სხვა წევრები მოსალოდნელ ცვლილებებს ღია თუ პირად საუბრებში არ უარყოფენ. აქტიურად საუბრობენ თავდაცვის მინისტრის შეცვლაზე, რომელსაც იმერეთის გუბერნატორი შავლაძე ტაბატაძემ ჩაანაცვლებს. შესაძლოა, თანამდებობა დატოვოს ფინანსთა მინისტრმა ივანიშვილმა მამუკაძე-



რიანაშვილი და მისი ადგილი 2030-ის ყოფილმა ექსპერტმა, დღეს მინისტრის მოადგილემ მინაილ დუნდუამ დაიკავოს. არაა გამორიცხული, სუს-ის უფროსი მხატვარი გომეზაშვილი მისმა მოადგილემ ბრიგოლ ლილუაშვილმა ჩაანაცვლოს. არც პრემიერ მამუკა ბახტაძის პერსპექტივაა გარკვეული, შესაძლოა, ბახტაძე გომეზაშვილთან ან მინაილ დუნდუამ შეცვალოს. რას მოუტანს ხელისუფლებას ბიძინა ივანიშვილის მიერ დაპირებული სამთავრობო ცვლილებები და ხომ არ იქნება ეს ცვლილებები კოსმეტიკური? ამის შესახებ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე გვესაუბრება.

– ზოგადად, სამთავრობო ცვლილებები თვითმზანი არ არის და არც უნდა იყოს... სამთავრობო ცვლილებების საფუძველი არასწორი საკადრო პოლიტიკაა. ამიტომ ცვლილებები ორთქლის გამოშვებისთვის არ შეიძლება, რაც შევარდნაძიდან მოყოლებული ასეა. მახსოვს, შევარდნაძე ამბობდა ერთ-ერთი მინისტრის შესახებ, ახლა გავათავისუფლო, როდესაც იგი ნელ-ნელა სწავლობს მუშაობას? სანამ არ ისწავლა მუშაობა, მანამდე ჰყავდა იგი თანამდებობაზე, მაგრამ შემდეგ უკვე აღარ ეთმობოდა. საბოლოოდ მაინც მოუწია იმ მინისტრის გათავისუფლება. ახლაც იგივე ხდება.

– პირველ რიგში, საუბრობენ, რომ ლევან იზორიას დატოვებს პოსტს, რადგან მან ვერ უზრუნველყო ჯარში წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ სასარგებლო პროცესების წარმართვა. აღმოჩნდა, რომ იზორიას დროს სამხედროების ნაწილს თურმე „ნაციონალების“ ნოსტალგია გასჩენიათ.

– იზორიას დანიშნა თავიდანვე შეცდომა იყო. ამ ადამიანს არც არმია იცნობს და არც სტრუქტურა. სამოქალაქო მინისტრი კარგია, მაგრამ მაშინ გენერალური შტაბი უნდა იყოს ისეთი, როგორცაა საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, სადაც გენერალური შტაბი, პრაქტიკულად, მინისტრის ფუნქციებს ასრულებს. იზორია შემთხვევით მოხვდა როგორც შს სამინისტროში, ისე თავდაცვის უწყებაში. მისი გათავისუფლების მომხრე ვარ, რადგან საამისო კომპრომატები არსებობს, თუ გინდავთ, მისი ნათესავების თვითშემოქმედება რეგიონებში. თუმცა მე წინააღმდეგი ვარ, რომელიმე მინისტრი გაათავისუფლონ იმის გამო, რომ არჩევნებში არ იაქტიურა. არც უნდა იაქტიუროს, რადგან რა მინისტრის საქმეა არჩევნები?..

– გავრცელებული ინფორმაციით, გახარია ჩაანაცვლებს ბახტაძეს. ეს ნიშნავს, რომ ბახტაძის პრემიერობა ყველაზე ხანმოკლე იქნება?

– ჩვენ ვერ გავიგეთ, რა მონაცემებით დაინიშნა ბახტაძე პრემიერად. ის იყო რკინიგზაში, ადამიანმა თავი სადაც ხომ უნდა გამოიჩინოს? შეიძლება, ბახტაძე კარგი ადამიანია, ფინანსთა მინისტრი რომ იყო, რალაც იმედები მოგცა ბანკებთან მიმართებით, მაგრამ რა შეიცვალა? ვერაფერი. ახლა პრემიერია და ბანკები ისევე ისე ბატონობენ, როგორც ბატონობდნენ, მაგრამ გახარია როგორი პრემიერი იქნება? თავისთავად, ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ეს რთული სათქმელია. ჩვენ საფრანგეთი არ ვართ, სადაც შეიძლება ერთი ადამიანი დღეს იყოს თავდაცვის მინისტრი, ხვალ ეკოლოგიის მინისტრი, ზეგ საგარეო საქმეთა მინისტრი, ვინაიდან იქ ინსტიტუტი მუშაობს ისე, რომ მინისტრი მხოლოდ პოლიტიკური ფიგურაა.

– საინტერესოა, თქვენ ვის დატოვებდით ამ გუნდიდან და ვის ჩაანაცვლებდით?

– დღეს საქართველოს, პირველ რიგში, კარგი ეკონომისტი სჭირდება. კარგი ეკონომისტი ჩვენ გვყავს: ლადო პაპავა, მიხეილ ჯიბუტი, ეს პარლამენტს გარეთ. პარლამენტშიც მოიძებნებიან კარგი ეკონომისტები. ჩემში სულაც არ იწვევს ერთუზიანობა ის ფაქტი, რომ ახალი კადრები უნდა გაძლიერდეს მმართველი პარტია, რადგან მმართველი პარტიის გაძლიერება სელექციის ამ პრინციპით არ არის სწორი. ჩვენ უკვე გამოვიარეთ ორი საპარლამენტო არჩევნები, ადგილობრივი არჩევნები და ორი საპრეზიდენტო არჩევნებიც. ყველა არჩევნებმა გვიჩვენა, რომ საკადრო პოლიტიკა მოკოჭლებს. ეს ქართული პოლიტიკის აქილევსის ქუსლია, დაწყებული გამსახურდიადან, დამთავრებული ივანიშვილით, რადგან, როდესაც სასწორზე დევს პროფესიონალი ზმი და ერთგუ-

სამთავრობო ცვლილებები ორთქლის ბაშურებისთვის?!

ლება, ყოველთვის ერთგულთა გადასწონის. გამსახურდიას და შევარდნაძის დროს ეს გასაგები იყო, იმ პერიოდში ორივეს სჭირდებოდა ერთგული ადამიანები, რადგან მოსალოდნელი იყო ლალატი, შეთქმულება, მაგრამ მე არ ვიცი, რაში სჭირდებოდა პროფესიონალი ზმის ხარჯზე ერთგულთა სააკაშვილს? როდესაც მის დროს მოღვაწეობდა ისეთი დიპლომატი, როგორც ალექსანდრე ჩიკვაძეა, რალა საჭირო იყო ზურაბიშვილის გამინისტრება? დღესაც, როდესაც ოპოზიცია, პრაქტიკულად, აღარ არსებობს, რა აუცილებელია კიდევ ერთგულების ნიშნით ადამიანების შერჩევა? ერთგულთა მაშინ არის საჭირო, როდესაც შენ შეთქმულების შიში გაქვს.

– „ნაციონალებისგან“ საფრთხე არ მომდინარეობს?

– როგორ გეკადრებათ, ეს საფრთხე ხელოვნურად არის შექმნილი დიასახლისების დასაშინებლად. ყველაზე კარგად იციან ეს „ოცნების“ ლიდერებმა, რომ „ნაციონალებისგან“ საფრთხე არ ელით, იმიტომ კი არა, რომ ყველა „ნაციონალი“ მაშაშაი განდად იქცა და მათი ქალები დედა ტერაზებად იქცა, უბრალოდ, რესურსი აღარ აქვთ „ნაციონალებს“. ბიძინა ივანიშვილმა სწორად თქვა კიდევ, შეიძლება „ნაციონალებმა“ მოინდომონ, მაგრამ რესურსი აღარ აქვთ. თუ რესურსი არა აქვთ, მაშინ რისი უმნიშვნელობაა?

– მაგრამ სააკაშვილი მაინც აგულიანებს „ნაციონალებს“... ამას იმიტომ აკეთებს, რომ თავის სტილს არ დაკარგოს?

– მე არ ვიცი, სააკაშვილი შეიძლება ხვდება ამას, ან შეიძლება ვერც ხვდება, მაგრამ მისი „ოცნების“ ნისქელიზე ასხამს წყალს, როცა ამბობს, რომ ჩამოვა საქართველოში და ამას იზამს, იმას იზამს. ყველაფერს თავი დაგანებო, სტრატეგია მნიშვნელოვანია, მონიშნა აღმდეგე შენი სიჩუმით უნდა დააბნო. ჯერ კიდევ გერმანელი ცნობილი სტრატეგის – მოლტკეს თეზისი გახლდათ – „იყო დიდი, ეწვენიბოდე პატარად“, ჩვენთან კი პატარები

არიან და დიდად უნდათ თავი მოაჩვენონ. სწორედ ამას იყენებს „ოცნება“, რომ „მიშა მოდის“, „არა – მიშას, არა – ძალადობას“.

– წესით, „ოცნება“ თვითონაც უნდა მიმხედარიყო, რომ „მიშა მოდის“ ძახილი მაინცდამაინც აღარ ტრის ქართველ საზოგადოებაზე. უახლოეს მომავალში უფრო რთული საპარლამენტო არჩევნები გველის, ამდენად, ასლა მაინც თუ შემოუშვებენ პოლიტიკურ ასპარეზზე მესამე ძალას?

– კი ბატონო, ბიძინა ივანიშვილს ესმის, რომ ცვლილებები საჭიროა, მაგრამ მტკიცუნული ცვლილებისთვის არ არის მზად. ახლა მათ უნდათ, პარტიის პოლიტიკურიდან პეტრე გამოიყვანონ და ივანიშვილი შეიყვანონ, სინამდვილეში, ორივე ერთია.

– ყველა ლაპარაკობს მესამე ძალაზე, „პატრიოტიკა ალიანსი“ ცდილობს ამ სტატუსის მოპოვებას, ცალკეული ანალიტიკოსებიც ცდილობენ, მესამე ძალისთვის ნიადაგი შეამზადონ, მაგრამ რეალურად ეს მესამე ძალა არ ჩანს.

– საერთოდ, არც ერთი ძალა ხელოვნურად არ ჩნდება. ვიყოს გულახდილი, ჩვენთან მესამე ძალა თუ იქნება, ეს შეიქმნება ხელოვნურად. იმავე საფრანგეთში მეორე თუ მესამე ძალად გამოჩნდნენ ახლანდელი ბუნტის მომწყობნი, იქაურ მთავრობას იმის ჭკუა მაინც ეყო, რომ რეალურ დათმობებზე მიდის. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ყოველდღიურად გამოდის და ახალ-ახალ დათმობებს აცხადებს, მათ შორის, გადასახადების შემცირებას, საკადრო პოლიტიკის ცვლილებას. ფრანგი პროტესტანტების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ვადამდელი არჩევნებიცაა, რასაც ჩვენთანაც ითხოვს ოპოზიცია. ვადამდელი არჩევნები მართლ ჩვენთვის არ გამოიყურება პანაცეად, სომხეთშიც ვადამდელი არჩევნები ჩატარდა, ფრანგებიც იმავეს მოითხოვენ, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ საფრანგეთში არაფერს მოითხოვს საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლას, რადგან იქაური კანონმდებლობა დემოკრატიულია.

უბრალოდ, იქ მოითხოვენ გადასახადების შემცირებას. ჩვენთან კი გადასახადების შემცირების შესახებ ნაიკნაველები ხომლებ, მაგრამ ის, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯარიმები საქართველოშია, ამას ვერსად წაუვალთ.

მიშას დროს სახლში მაინც მოჰქონდათ ჯარიმები, ახლა კი მობილურით მოგდის ჯარიმა, ამ დროს კი მობილურში ვეღარ ავუღივარ მესიჯებს, მოდის და მოდის მესიჯები, „ფრესკო“, ტექნიკის მალაზიები, კიდევ ათასი ვინმე, უამრავ მესიჯს შორის თურმე გამომეპარა ჯარიმის შესახებ. ამ დროს თურმე დამირღვევია საგზაო წესები და 20-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად უკვე 80 ლარი გადავიხადე. ანუ თანხამ მოიმატა. განგებ არ მოაქვთ სახლში ქვითარი, რადგან 20 ლარის ნაცვლად 80 ლარი აწყობთ. ეს 80 ლარინდროზე რომ არ მენახა, შეიძლება, იმხელა ოდენობის თანხაზე ასულიყო, ვეღარც გადამხსნა და მანქანა გაეყიდათ. შემდეგი არჩევნებისთვის ესენი ვერაფერს მოიფიქრებენ. ამათ პროპაგანდისტებს რომ ვუყურებ, მათ იმდენი გონებრივი რესურსი არ ჰყოფნით, რალაც ახალი მოიფიქრონ. ისევე იტყვიან, მიშას სისხლიანი რეჟიმით. მათდა სახეიროდ, მიშა ახალგაზრდაა, აქტიურია, უტიფარია, მოძალადეა, არ გაწუხდება, არ გაჩერდება და ესენიც ყოველთვის გვეტყვიან, ხომ ხედავთ, მიშა აპირებს ჩამოსვლას. შეიქმნება არასამთავრობო ორგანიზაციები – „არა – სისხლიან რეჟიმს“, „არა – მიშას, არა – გრიშას“.

ეს ყველაფერი ვისი ფულით კეთდება? ცხადია, ჩვენს ხარჯზე. მე ვატყობ და არის ამის ნიშნები, რომ ხელოვნურად შეიქმნას მესამე ძალა. ჩემი აზრით, ეს ვერ იქნება რეალური მესამე ძალა. მთავარია, ამ წელიწადნახევარში მოხდეს სერიოზული საკანონმდებლო ცვლილებები სოციალურ სფეროში, პირველ რიგში, გადასახადების დაწვევა, მედიკამენტების გაიაფება, რაზეც ყველა დუმს. ყოველდღიურად ძვირდება მედიკამენტები, ალბათ, თებერვლადან მაინც გაძვირდება გაზი. მთელ მსოფლიოში ბენზინის ფასი ეცემა, ჩვენთან კი არავითარი ცვლილება არაა, ციკლურად ხდება მთელ მსოფლიოში, ეცემა ბენზინის ფასი, მერე ისევ ძვირდება, ისევე ეცემა. ჩვენები მაინცდამაინც გაძვირებას ელოდებიან და გვეუბნებიან, რა ვქნათ, ჩვენ რომ დავაპირეთ გაიაფება, ახლა გაძვირდა ბენზინით.

არჩევნების წაგების უფლებას „ოცნება“ საკუთარ თავს არ აძლევს, როგორც ეს ნორმალურ ქვეყნებში ხდება. თუნდაც ნიკარაგუაში ორტეგამ წააგო არჩევნები, არ გააყალბა და გადადგა. გავიდა დრო, მოიგო არჩევნები და დღეს ისევ პრეზიდენტია. „ოცნება“ შინაგანად მზად არ არის იმისთვის, რომ წააგოს ისევე, როგორც წინა ხელისუფლება ამბობდა, 30 წლით ვართ ხელისუფლებაში. ესენიც ფიქრობენ, რომ 30 წლით არიან. კალაქმ სწორად თქვა, რასაც დასთესავ, იმას მოიპვიო, მაგრამ რასაც ესენი თესავენ, თუ გინებავთ, სოციალურ სფეროში, მზად არიან ამის მოსამკვლად? ამათ უნდათ, შვრია დათესონ და პირველი ხარისხის კანადური ხორბალი მიიღონ, მაგრამ შვრიის დათესვით მივიღებთ შვრიას?! თუ ცვლილებებში იმას გულისხმობს ბატონი ბიძინა, რაც თქვა, რომ ყველა პატრიოტი თავის ადგილს იშოვის, ეს ნიშნავს, რომ, ვინც სალომეს მოხმრეა, მათ კარგად დააპურებს. ბატონო ბიძინა, ისინი ისედაც კარგად ცხოვრობენ, ხოლო, ვინც სალომეს არ მისცა ხმა, ის პატრიოტი არ არის?

– ისე, მიშას ტრადიცია იყო თავისიანების დაპურება და ეს ტრადიცია, ეტყობა, გრძელდება.

– რასაკვირველია, მიშას ტრადიცია იყო. აბა, რიგითი პროფესორი მიშას დროსაც მშვიერი იყო და დღესაც მშვიერი.

ესაუბრა ბანანა ნოუბაძე

თორნიკე რიჟვაძე სკანდალურ განცხადებას განმარტავს

აშარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე მის მიერ გაკეთებულ სკანდალურ განცხადებაზე პირველ განმარტებას აკეთებს და ამბობს, რომ მისი და მისი თანაგუნდელების ბრძოლის იარაღი პოლიტიკურია, რომელიც მოქცეულია კანონის ჩარჩოებში.

„ადამიანისთვის ღირსებაა უმთავრესი და, რა თქმა უნდა, ჩვენი ბრძოლის მეთოდები ყოველთვის არის პოლიტიკური და კანონმდებლობით გათვალისწინებული... კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რა თქმა უნდა, ჩვენი ბრძოლის მეთოდები არის პოლიტიკური“, – განაცხადა რიჟვაძემ.

10 დეკემბერს, თორნიკე რიჟვაძე ჯელალ ქიქავას კომენტარს გამოეხმაურა და თქვა, რომ „პირადად იძიებს შურს ქიქავებსა და სხვა ოპონენტებზე, რომელიც აჭარბულ ხალხს შეუარაცყოფს“.





მეზარ კვიტიანი

ახალი რეკვილიდან

შინდისის ტრაგედია

(2008 წლის 11 აპრილი)
რა მეხი დაგცეს კლდესავით მაგრებს,
გაკვავავდი, იმის მერე ვარ...

ჩაცხრილეს, მოსრეს რა სიჭაბუკე,
დიდხანს უძლებდით ლავას, მოხეთქილს...

ტაშ-ფანდურს გვიმართავდა მკვეხარა,
ბიჭებო, რა ორმოში ჩაეშვით!..

წმინდა საუნჯე მამულს განებნა,
გლოვობდა პატრიარქის ფილონი,

დიდი სამების ზარი რეკავდა,
ხანძარი გულებს ახლაც ედებო...

კვლავს ასე იძნება

(„ამათომის ბაზარი“)
თავის ოხერს, გაჯობა
ყველა მეთავისეზე;

ოცნებობდი რაზედაც,
გეპტა ფერფლად, მჭვარტლად;

აღლო აქვთ და იციან
ამ ცხოვრების წესი;

ნადვლიანი, მწუხარე,
გათენდება დილა;

რას არ ვიტან

იმდენი კი მაქვს მიხვედრა,
წალკოტს არ ვითხოვ ღმერთო,

სხვისიც გულს მირევს სიხარბე,
ზომიერს ვრჩეობ მადას,

ვერ შეველევი ამ სურვილს -
ცას დამყურებდე თაღო

მარტვილი მარტვილი

დალხენილი არ გასლავთ,
არ ოხრავს, არც კენესის,

ჯიშად მოგდგამს, შეგატყვე,
სულ სიკეთე სთესო,

თავს, გაჩენის დღესო,
არავისზე ნაწყენო
და არც ანამრეზო,

საშველს ძნელად ვხედავ

თავს მახსენებს, მოწრიალეს,
გასახეთქად გულის,

ჩასაყლაპად ელოდება
უძღომელთა ხასა,

ვეშაპები შეენაცვლა,
დავითს, ლეკს და დიდოს;

ბაბიჭირღება

მომელანდება მინდორი,
თავად არ ვიცი, მინდა რა,

რა წუხილს აღარ დამსევს
შემოდებული თამასა;

გალიე წუთისოფელი,
ვერ მოიშორე გალია,

არ ღირს გაზომვა, ფეთება -
ვინ ვისზე დიდი, მეტია;

ბასკენების დღე

ველარ გაემზადება
საკაშმოდ და საძილედ,

ვერ ინატროს ტაბაკა,
ღვინოც - ერთი ჩარეკა...

მეტად ვერ შეაწუხებს
ჭირი წყება და წყება;

გაუნვალებლად

შექმნილი

ვიცი, მღურვას არ დამიწყებ,
სულო, წასაწყემედო,

ისიც ვიცი, ასეთი ხმა
დაძრულია ციდან;

შენც შექმნიდი, გუბეს როცა
შეატოკებს წვეთი,

ნეტარებას, წამიერი
არ ვნებს გამოთიშვა;

გარდასახვა

ხელობა სიტყვის რაგინდ არ გიქონ
(უნდა იცოდე ყველა გზაწვრილი).

სულ მოცებდა გაძლებს ნიჭი,
ხომ არ დაკარგავს ფერი ნაძვებმა?!

არ ბიძყუნებ

ვიცი, სამოსი გეცმევა ჭრელი,
შენი იმედი მაქვს, ოქტომბერო!..

ფრთებმოუღვლემა, წამილოს ქარმა,
იცოდე, დაპირებაც ფიცია,

სასხელო იუბილარი

ეს ბანოვანი, გულუხვი,
გარჯილი გახლავთ დიდად;

მინახავს - ნამოწაფარნი
ხშირად მიდიან მასთან

თავს ევლებიან შვილები,
ხარობს, მადლდება ჭერი;

სუფრა გაშალეს, გამართეს
ლხინი სალაგვრდო,

გაღარჩენა

მოედანზე ხალხს თავი
მოუყარა გმირმა;

გრგვინვა, შეძახილები,
შეკრებილთა ტაში...

გამბობთ, მისი გამზრდელი
დაილოცოს დედა;

დადგა კუბო ნაცების,
ბევრს გვპირდება კიდეც -

ღია ცისქვეშ მქუხარი,
არ ჰგავს ქალებს კარვის,

ქალბატონმა სალომემ
დაიხსომოს კარგად,

ფიქრი გასართიველად

სხვათაბან თქმული

ერთგული ქმარი სინდისის პატიმა-რია.

ხელისუფლებამ ფული, სიკეთე და
კომფორტია... თუ ეს ხალხის ხელისუფ-
ლება არ არის.

სინდისის ქენჯნა ადამიანს წმენდს;
სინდისის უქონლობა ამდიდრებს.

მაგონისმისმის მათრახიც ნაზუქია.

სასიყვარულო სამკუთხედი ჩაკეტილი
წრეა.

თუ სხვას ვერ აჯობებ, გადა-
ფურთხებამი, მაშინ იქვე, ფეხებთან, და-
იფურთხე.

ყველაზე უფრო ხშირად ადამიანე-
ბი იმას უჩივიან, რაც იმათგან უმრავ-
ლესობას არა აქვს, - ჯანმრთელობას.

ისტორიამ ერთი გვაქვს, მაგრამ იც-
ვლებიან მხოლოდ ინტერპრეტაციები.

პანაოვი მსუბუქი ყოფაქცევის ნა-
ვებია.

ყველაზე საუკეთესო მყიდველი ძენ-
წია, ის ორჯერ იხილს.

გარდამავალი ასაკი ის არის, რო-
ცა ჭკუაში ჯერ არ ჩაგარდნილობარ, გა-
გენიალურება კი უკვე გვიანია.

ოპანი გემია, რომელსაც კოვი (მზა-
რეული) მეთაურობს.

ფიზიკოსი სტუდენტების ჯგუფი შე-
ასრულებს ყველანაირ ფიზიკურ სამუ-
შაოს.

წესიერი კაცი ეძებს წესიერ ხელფასს.

სასწრაფოდ გავთხოვდები, გან-
ვიხილავ ნებისმიერ წინადადებას.

უცხოვრებულნი ვართ ჩვეთვალთ
თუ არა ისინი, ვინც დედამიწას ამძი-
მებს?

სად იღებენ პროფესიას ქურდი პრო-
ფესიონალი ქურდები?

ქიშკინა: ვწმენდო კლიენტის ტან-
საცმელს, ხალიჩებს, ჯიშებს...

იმას ბევრი მეგობარი ჰყავდა, ოღონდ
თავის თავთან არ მეგობრობდა.

იმან თავის უფროსს ნაკლოვანებებზე
მიუთითა, უფროსმა კი კარისკენ მიუშ-
ვირა თითი.

ის თავის თავს ყველაზე ჯვრიან ადა-
მიანად თვლიდა, მაგრამ იგი ერთადენ-
თი იყო, ვინც ასე ფიქრობდა.

საათი პატრონს დავმგვანა - სულ
იტყუებოდა.

ხმა ხომ მიეცი, ახლა მაინც გაჩუმ-
დი.

თუ იცი, საქმეს როგორ მიხედო -
ცოდნაა, თუ არ იცი - გამოცდილება.

პანაოვი სიტყვებს თავში მოფუთ-
ფუთე ტარაკნები აჩენს.

სამწუხაროა, რომ ახალგაზრდობაში
ჩადენილ შეცდომებს სიმწრეში ვეღარ
ვიმეორებთ.

მისიონარმა ქალი არ არის, როცა
ის გლაბატობს, ვერ გაეყრები.



ახალი ბრანტი საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარებისთვის

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში პროექტის „დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საქართველოში“ საგარანტო ხელშეკრულება გაფორმდა, რომელსაც ხელი მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და გერმანიის განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე მუნსტუია ალტანგერელმა მოაწერეს.

დაცული ტერიტორიების გაძლიერებისთვის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 9,785,000 აშშ დოლარს შეადგენს, რომლის ფარგლებშიც დაცული ტერიტორიების სააგენტო გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისგან (GEF) 1,826,484 დოლარის ოდენობის გრანტს მიიღებს.

პროექტი „დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საქართველოში“ ითვლის 12 სამიზნე დაცულ ტერიტორიაზე ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას. კერძოდ, პროგრამის სამიზნე ტერიტორიებია: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ლაგოდეხის დაცული ტერიტორია, ვაშლოვანის დაცული ტერიტორია, თუშეთის დაცული ტერიტორია, თუშეთის დაცული ლანდშაფტი, მტირალას ეროვნული პარკი, ჯავახეთის ეროვნული პარკი, ყაზბეგის ეროვნული პარკი, ალგეთის ეროვნული პარკი, კინტრიშის დაცული ტერიტორია, მაჭახელას ეროვნული პარკი, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები.

თურქეთში მკურნალობას ამჯობინებენ

სამედიცინო მომსახურების მიზნით ყველაზე მეტი ადამიანი თურქეთში აზერბაიჯანიდან, ერაყიდან, საქართველოდან, გერმანიიდან და რუსეთიდან ჩამოდის, — განაცხადა თურქეთის ჯანდაცვის მინისტრმა ფაჰრეთინ ქოჯამ.

ფაჰრეთინ ქოჯამ ადგილობრივ მედიას უთხრა, რომ პაციენტებს ონკოლოგიის, თვალის, ნეიროქირურგიის და რადიოთერაპიის თაოსნობით ბევრ სფეროში ხარისხიან მომსახურებას სთავაზობენ და სამედიცინო ტურიზმში თურქეთის ყველაზე დიდი უპირატესობა მისი მდებარეობაა და 4-საათიანი ფრენით შესაძლებელია 1,5 მილიარდ ადამიანთან დაკავშირება და მოსახლეობის ეს ფენა საშუალო-მაღალი შემოსავლების მქონეა.

მინისტრმა დასძინა, რომ თმის გადანერგვის, ორგანოების ტრანსპლანტაციის, რადიოთერაპიის მსგავს სფეროებში სახელმწიფოებთან სახელმწიფო და კერძო საფორმად კომპანიებთან შეთანხმებების გაფორმებას აპირებენ და დაამატა: „მსოფლიოში არ არის მეორე ქვეყანა, რომელიც ამ ფასებში ჩვენ მიერ შეთავაზებულ სამედიცინო მომსახურებას სთავაზობს... დღემდე 1,5 მილიარდი დოლარი სამედიცინო ტურიზმიდან მივიღეთ. ეს არ არის საკმარისი. ვფიქრობთ, რომ 2023 წლამდე სამედიცინო ტურიზმში ამის ხუთჯერ გაზრდა შესაძლებელი“.

სოცნი და კონსტანტინე გამსახურდიანი შიშველობას ინყობენ

საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილები ცოტნე და კონსტანტინე გამსახურდიანი მთავარ პროკურატურასთან შიშველობას ინყობენ. ისინი ზვიად გამსახურდიანს საქმის გამოძიებას ითხოვენ. როგორც ცოტნე გამსახურდიანი ფეისბუქზე წერს 2018 წლის 31 დეკემბერს ზვიად გამსახურდიანს მკვლელობის საქმის 25-წლიანი ხანდაზმულობის ვადა გადის.

„დღეს, 14 დეკემბერს, მე და ჩემი უფროსი ძმა კონსტანტინე ვინყებთ შიშველობას მთავარ პროკურატურასთან, ამ ბოროტების ბუნაგთან, ვითხოვთ ზვიად გამსახურდიანს საქმის გამოძიებას და მკვლელის დასჯას.“

მოგესვენებთ, ზვიად გამსახურდიანს მკვლელობის საქმეზე 2018 წლის 31 დეკემბერს გადის 25-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, და რადგან ამ პერიოდის განმავლობაში პროკურატურას ფაქტობრივად ბრალდებული არ ჰყავს, საქმე დაიხურება. სინამდვილეში, საქმეში არის უამრავი მამხილებელი მასალა, გამოკვეთილია ამ საქმის ორგანიზატორები და მკვლეელი, საბჭოთა კავშირის სტაჟიანი თანამშრომელი! მაგრამ პროკურატურა საოცარი პასიურობით და უნიათობით ცდილობს სხენებული ვადის განვლვას და, მეორე მხრივ, გააფთრებული გვეწინააღმდეგება ზვიად გამსახურდიანს ოჯახის წევრებს, ნაცვლად აუცილებელი საგამოძიებო ქმედებების ჩატარებისა! რატომ არ იძიებენ საქმეს? ლოგიკურია, რომ დამნაშავეებს ხელს აფარებენ მკვლელის პასუხისმგებლობაში მიცემას, როგორც ბანქოს ამონევეს წყებიდან, წამოჰყვება



ფიგურანტების მთელი ბანდა, ქართველი მოღალატეების და რუსული სპეცსამსახურების კვალი და როლი საქართველოს პირველი, დამოუკიდებლობის გამოცხადებელი პრეზიდენტის მკვლელობაში. სწორედ ამას ფარავს ბიძინა ივანიშვილის ჯიბის პროკურატურა!

დღეს ჩვენს ოჯახს და მე ძალიან გვჭირდება მათი გვერდში დგომა, ვისთვისაც სულერთი არ არის სამართლისა და სამართლის ბედი ამ ქვეყანაში, მისი დამოუკიდებლობა, მისი სწორი განვითარება, რასაც ვერ ვეღირსეთ სწორედ ამდენი წლის სიმამხინჯის გამო. ვერ ვეღირსეთ იმიტომაც, რომ სამართალი აქ მმართველი კლასის მოღალატური პოლიტიკის მიხედვითაა მადლობა მათ, ვინც თავს შეინუხებთ. თუმცა, ხვეწნას ნამდვილად არ ვაპირებ და მართლაც რომ დავრჩე, ბრძოლას გაავაგრძელებ, რათა საკუთარ სინდისთან და ამ ქვეყნისთვის დაღუპულთა ღვაწლთან ვიყო მართალი! — წერს ცოტნე გამსახურდიანი.

„ჩემი შვილის მკვლელები დაისჯონ, ჩემზე რას გალანჯობენ, არ მაინტერესებს!“

რუსთაშვილის საქალაქო სასამართლოში ზაზა სარალიძის საქმეზე წინასასამართლო სხდომა დასრულდა. მოსამართლემ დაცვისა და ბრალდების მხარის შუამდგომლობები მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის თაობაზე არ დააკმაყოფილა და საქმე არსებით განხილვაზე გადასცა. საქმეზე არსებითი სხდომა 25 დეკემბერს ჩატარდება.



„ერთადერთი მოლოდინი მაქვს, რომ ჩემი შვილის მკვლელები დაისჯონ, ჩემზე რას გადამწყვეტს პროკურატურა და ხელისუფლება, არ მაინტერესებს. რაც შეეხება სამართალ-“

დამცავებთან მომხდარი ინციდენტის ბრალდებას, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები, რადგან თავად მათი მხრიდან იყო პროვოკაცია მოწყობილი“, — განაცხადა რუსთაშვილის საქალაქო სასამართლოში სხდომის დასრულების შემდეგ ზაზა სარალიძემ.

რუსთაშვილის გამზირზე ზაზა სარალიძესა და სამართალდამცავებს შორის მომხდარი ინციდენტზე გამოძიებას ქვემო ქართლის პროკურატურა ანარმოებს, სასამართლო პროცესი კი რუსთაშვილის საქალაქო სასამართლოში ტარდება.

„ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ ოფისში შუახნის ქალი გარდაიცვალა



ქახეთის გზატკეცილზე, „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ ოფისში შუახნის ქალი გარდაიცვალა.

ამის შესახებ ინფორმაცია „ნიუპოსტს“ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა განუცხადა, დაცვის თანამშრომლებმა მოქალაქე სკამზე დასვეს, სადაც გარდაიცვალა.

„ასობით ადამიანი მოდის დახმარების სათხოვნელად, ზოგიერთს კონსულტაცია სჭირდება. აღნიშნულ ქალბატონსაც სავარაუდოდ დახმარება სჭირდებოდა, საბუთებით იყო მოსული. დაცვის სამსახურში გვიტოვებს, რომ დახმარება ითხოვა, შეუძლოდ ვარო, სკამზე დასვეს და შემდეგ შეამჩნიეს, რომ აღარ სუნთქავდა. ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა“, — ამბობს საბეიშვილი.

კახელებმა სენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული თანხის ნახევარს კი ვერ აითვისეს

2018 წელს კახეთის რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, ჯამში, 35 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი და, როგორც ირკვევა, ამ თანხიდან მუნიციპალიტეტებმა მხოლოდ 14 მილიონის ათვისება შეძლეს. დანარჩენი 21 მილიონი ლარი გაუხარჯავი დარჩა. ამ პრობლემაზე ლიდავს არა რომელიმე ოპოზიციური პარტია ან არასამთავრობო ორგანიზაცია, არამედ თავად მმართველი გუნდი ალაპარაკდა. პარლამენტში სილნაღისა და დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი ამბობს, რომ „ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ათვისების ასეთი დაბალი ტემპი „ქართული ოცნების“ მმართველობის წინააღმდეგ არ ყოფილა“. დეპუტატი ამბობს, რომ „შესაბამისმა ორგანოებმა მომხდარი უნდა გააანალიზონ და პასუხისმგებელი პირები გამოავლინონ“.

ლაგოდეხის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურმა 2018 წლის ბიუჯეტის

სამი კვარტალის შესრულების ანგარიში წარადგინა, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ რეგიონალური განვითარების სამინისტროდან გამოყოფილი 4 მილიონ 289 ათასი ლარიდან მუნიციპალიტეტმა მხოლოდ მილიონ 600 ათასი დახარჯა. ცენტრალური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის ათვისების პრობლემა რომ დგას, ეს ლაგოდეხის მაგალითზეც გამოჩნდა. რამდენიმე დღის წინ საკრებულოს სხდომაზე ლაგოდეხის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურმა 2018 წლის ბიუჯეტის სამი კვარტალის შესრულების ანგარიში წარადგინა, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ რეგიონალური განვითარების სამინისტროდან

ტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად გამოყოფილი თანხის დიდი ნაწილი გაუხარჯავი დარჩა, მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენ მიერ გამოკითხული მოქალაქეებისთვის. მათი აზრით, ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ცუდად მუშაობს. მიმდინარე წლის დასრულებამდე 20 დღეზე ნაკლები დრო დარჩა. შესაბამისად, ამ პერიოდში აუთვისებული თანხების სრულად ათვისება რომ ვეღარ მოესწრება, ამაზე თავად მმართველ გუნდში ლაპარაკობენ. სილნაღისა და დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი შიოლაშვილის განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოში ახლა მუშაობენ იმისთვის, რომ დაუხარჯავი მილიონები გადავიდეს მომავალი წლის ბიუჯეტში და თანხა კვლავ მუნიციპალიტეტებში დარჩე.

გიორგი ალადაშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის მასწავლებელი ლადო აფხაზავა მასწავლებლის მსოფლიო ჯილდოს 50 ფინალისტს შორის მოხვდა.

მასწავლებლის მსოფლიო ჯილდოს მიზანი მსოფლიოს სხვადასხვა წარმომადგენელსა და მონაწილეს შორის მასწავლებლის მსოფლიო ჯილდოს 50 ფინალისტს შორის მოხვდა.

„ვლადიმერი ასწავლის საქართველოს ღირსეულად, სადაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა. მისი მოსწავლეების მშობლების დიდი ნაწილი უცხო ქვეყნებშია წასული სამუშაოდ, რათა დაეხმარონ თავიანთ ოჯახებს ფინანსურად. ბავშვები ხშირად საუზმის გარეშე მიდიან სკოლაში და ყოფილა შემთხვევები, როცა სასწრაფოს გამოძახება დასჭირვებიათ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. მოსწავლეებს ზოგჯერ უწევთ სწავლის შეწყვეტა იმისათვის, რომ თურქეთში წავიდნენ სამუშაოდ.“

ამ რეგიონში ბავშვებს ბევრი პრობლემა აქვთ და ვლადიმერის მისიაა როგორც ბავშვების დახმარება, ისე ამ პრობლემების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ამ მისიის წარმატებით შესრულებისთვის მან გასულ წელს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოც მოიპოვა, - ასე აცნობენ დაჯილდოების ორგანიზატორები ქართველ მასწავლებლებს.

როგორ გადაწყვიტეთ მასწავლებლობა?

პატარაობისას ვცეკვავდი. მერვე კლასში რომ ვიყავი, ცეკვის მასწავლებელი მეუბნებოდა, თქვენი გაიზარდე, სოლოს გაცეკვებო, დამრიგებელი მეუბნებოდა, თქვენი შეიჭერიო. ბოლოს ისე მოხდა, რომ შუა გაცეკვითილზე, ჩემი კლასელების წინ თქვენი შემაჭრეს. სწორედ მაშინ, მასწავლებელი კი არ შემეშულა, ვთქვი, რომ მე გავხდები მასწავლებელი და შეცვლი არსებულ რეალობას.

როდესაც მასწავლებელი გავხდები, ცვლილებები დავინახე ჩემი კლასიდან. ჩემი სადამრიგებლო კლასი წავიყვანე აბასთუმანში 21 დღით ბანაკში. „ლადოს ბანაკი“ ერქვა და 9 წელი იარსება.

გასულ წელს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი გახდით. რა გამოგარჩევთ სხვა მასწავლებლებისგან?

საქართველოში ძალიან ბევრი კარგი მასწავლებელია, უბრალოდ, მე გადავწყვიტე, პროექტული მეთოდით მასწავლებლიყავი. პირველი პროექტი დავწერე იმაზე, რომ ჩვენი სკოლის საპირფარეო, მოუნესრიგებელი იყო, კარებიც არ ჰქონდა, შიგნით ცუდი წარწერები



მოიგებს

ლანჩხუთელი მასწავლებელი ლადო აფხაზავა 1 მილიონს?!

იყო და ა.შ. პირველად ეს პროექტი ვერ მოვიგე და მივხვდი, რომ არასწორად ვწერდი პრობლემის შესახებ, რაც იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ საპირფარეოები საშინელ დღეში იყო, პრობლემა ის წარმოადგენდა, რომ ახალი რომ გამეკეთებინა, იმასაც გააფუჭებდნენ. ამ კუთხით უნდა მემუშავა ბავშვების ცნობიერების შეცვლაზე.

მოსწავლეებსაც ამას ვასწავლი, რომ პრობლემების გამომწვევ მიზეზებს უნდა ვებრძოლოთ და ძირეულად დავინყო მათ მოსაგვარებლად მუშაობა.

ჩვენს სკოლაში დემოკრატიული რეჟიმულიცაა მოხდა უკვე ოთხი წელია და ჩვენ სოფელში თუ ჩამოხვალთ, შიდა გზები ასფალტირებულია, რამდენიმე ხიდი გაკეთდა ბავშვების ადვოკატირებით, სანაგვე ურნები დაიდგა, საფეხმავლო გადასასვლებები მოეწყო და ა.შ. პირველსავე წელს ბავშვების ცნობიერება ისე შეიცვალა, რომ ბოლო 3 წელია, მასწავლებლებისგან ინიციატივა აღარ მოდის, ყველაფერს ბავშვები აკეთებენ. ჩვენ უბრალოდ გარემოს ვქმნით, სადაც ბავშვებს შეეძლება თავისუფლად მოქმედება, რომ ინიციატივები არ შეწყდეს.

უფროსი თაობაც რომ უყურებს, ფიქრობენ, რომ თურმე ვილაცას ხოტბა კი არ უნდა შეასხა, რაც საჭიროა, ჩვენ უნდა გავაკეთოთ, რაც საჭიროა, ვისაც ეკუთვნის, იმას მოვთხოვთ გაკეთება. მაგალითად, თუ სოფელში ნაგავი ყრია, ჩვენ კი არ მივიღებთ დასასუფთავებლად, ვითხოვთ, დაიდგას ნაგვის ურნები და ვისაც ეკუთვნის იმან მიხედოს. ჩვენ იმ ნაგავს ვასუფთავებთ, რაც სკოლის ტერიტორიაზე გროვდება.

თქვენი აზრით, რა საჭიროება დღეს ყველაზე მეტად განათლების სისტემას?

მე ვფიქრობ, რომ დეცენტრალიზაციის ხარისხი უნდა ამაღლდეს. კი ვამბობთ, რომ სკოლა დეცენტრალიზებულია, მაგრამ თუ ასეა, რად უნდა განათლების სამინისტროს უზარმაზარი ცხელი ხაზი. დირექტორები დამოუკიდებლად ვერ იღებენ გადაწყვეტილებას და ყველაფერზე სამინისტროში უწევთ დარეკვა.

არასოდეს მიფიქრია სკოლის დირექტორობაზე, ვიცი, რომ მერე თავისუფალი აღარ ვიქნები. ერთხელ ჩემ ბიჭებთან ერთად საკალმახეში წავედით და იქიდან ამოყვანილ კალმახებს წინწკლები არ ჰქონდათ წითელი ფერის. მერე ჩქარ მდინარეებში ვითევზავეთ ერთად,

დავიჭირეთ კალმახი და ჰქონდა წითელი ხასხასა ფერი. აი, მაშინ მივხვდი, რომ როდესაც თავისუფალი ხარ, კალმახით მრავალფეროვანი შეიძლება იყო და როცა რაღაც გბოჭავს, იმ მეორე კალმახებს ვგავართ, როცა შეიძლება ვილაცამ ბადით დაგიჭიროს.

თუკი მასწავლებლის მსოფლიო ჯილდოსაც მოიგებთ, მილიონი ლარი გადმოგეცემთ. გიფიქრიათ, როგორ გამოიყენებდით ამ ფულს?

ჩვენი ქვეყანა ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ძალიან მტკივა აფხაზეთი, ცხინვალი და ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იქ დარჩენილ ბავშვებს სასწავლო რესურსები მივანოდოთ. მე დიდი შემოსავალი არ მაქვს, ცოტა შემოსავალი მაქვს, ხანდახან ხელსაც კი ვიქნევ, რომ ვილაცამ წამიყლოს სკოლამდე, მაგრამ მაინც შეეძელი აფხაზეთში რამდენიმე სკოლაში სახელმძღვანელოები გამეგზავნა. თუ ეს ყველაფერი მოხდება, ალბათ აფხაზეთში არსებულ ქართულ სკოლებს და იქ მომუშავე მასწავლებლებს, რომლებიც ახლა ძალიან ჩუმად არიან, დავეხმარებოდი.

იმასაც ვფიქრობ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე მოსწავლემ ეკონომიკური მდგომარეობის გამო სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო და ალბათ ასეთ სტუდენტებს დავეხმარებოდი სრულფასოვანი განათლების მიღებაში.

თუ შეგიძლიათ კოლეგებს რაიმე ურჩიოთ?

სკოლებში ნამდვილად უნდა იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. მართო ადექს, დაჯექი,ახლა მომიყევი, ახლა გაჩუმდი და მე მომისმინე, ამით ვერასოდეს ვერ მივალწევთ ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. ცოდნაც უნდა მივცეთ, მაგრამ უნარები და დამოკიდებულებები უნდა შევქმნიოთ, რომ ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენება შეძლონ. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ქართულ სკოლაში პროექტული სწავლება დავინყოთ.

და ბევრი უნდა ვიმუშაოთ. ძალიან მიკვირს მასწავლებლების, რომლებიც კითხულობენ ხოლმე, ამ ტრენინგზე რომ წავიდე, კრედიტ ქულა მომემატება?

არ უნდა შეშინდე, მხოლოდ ხელფასზე და კრედიტ ქულაზეც არ უნდა იფიქრო, ასე შედეგი არ გვექნება. ჩემი ყველაზე დიდი კრედიტ ქულა იმის ყურებაა, როგორ იქცევიან, ვითარდებიან ჩემი მოსწავლეები. მაგალითად ჩვენს სკოლაში პატარა დანგრეულ შენობაში რამდენიმე მოსწავლე კოლხური ბზის გადარჩენას ცდილობს და 800-მდე ნერგი აქვს დარგული.

ნასტინა არაბული

შეიძლება თუ არა სკოლაში ოფისრების შეყვანა?!

უნდა ასწავლიდნენ თუ არა სკოლის მოსწავლეებს ჯარისკაცები? ეს საკითხი მას შემდეგ გააქტიურდა, რაც სკოლებში აგვისტოს ომის შესახებ ახალი საგნის პედაგოგებად სამხედრო სფეროს წარმომადგენლები, ოფიცრები გადაამზადეს. განათლების საკითხების მკვლევარი, ორგანიზაცია „სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ თავმჯდომარე შალვა ბაბაბაძე აცხადებს, რომ დაუშვებელია, სამხედრო მოსამსახურეები შედიოდნენ სკოლებში მასწავლებლებად.

ჯერ ერთი, სამხედრო მოსამსახურე არ იცის არც სწავლების და არც მოსწავლესთან ურთიერთობის სპეციფიკა. მეორეც, თანამედროვე მსოფლიო ორიენტირებულია სააზროვნო და ანალიტიკური უნარების განვითარებისკენ და არა ვილაცის ინდოქტრინაციისკენ, ანუ ადამიანებზე გავლენის მოხდენისა და დაშტამპებისკენ. იმას, რასაც მასწავლებელი ვერ აკეთებს, რა თქმა უნდა, სამხედრო მოსამსახურე ვერ გააკეთებს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სამხედრო მოსამსახურესთან ურთიერთობა მოსწავლისთვის საშიში ან საფრთხილია. თუ ეს იქნება მოწვეული სტუმრის ფორმატი და სკოლაში მიიწვევენ სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც ისაუბრებს საკუთარ გამოცდილებაზე, მაშინ ეს მისაღებია. ასევე, მისასალმებელია, თუ ეს იქნება კლასგარეშე აქტივობა და მოსწავლეებს წაიყვანენ სამხედრო ნაწილებში, სადაც ადგილზევე გაეცნობიან, როგორ ცხოვრობენ ჩვენი სამხედროები. ამას ექნება შემეცნებითი დანიშნულება.

მისივე თქმით, გრიფირებულ სახელმძღვანელოებშიც კი გვაქვს სერიოზული პრობლემები. არადა, ამ



სახელმძღვანელოების შედგენაზე დარგის სპეციალისტები, კონკრეტულ სფეროში წლობით მომუშავე ადამიანები მუშაობენ და მაინც გვაქვს ხარისხთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები. აქ არ არის შინაარსზე ლაპარაკი, მთავარი პრობლემა სწორედ ის არის, რომ შინაარსი გამართულია, მაგრამ მეთოდოლოგიური მიდგომა აბსოლუტურად მიუღებელი ყველა საგანში. აქედან გამომდინარე, მიუღებელია, როდესაც თავდაცვის სამინისტრო წერს ამ სა-

ხელმძღვანელოს. სინამდვილეში, აგვისტოს შესახებ წიგნი უნდა დანერონ ისტორიისა და განათლების სპეციალისტებმა ერთად, რომლებმაც იცინათ მეთოდოლოგიური, ფსიქოლოგიური ასპექტები და იცინათ საგნის შინაარსი. აქ მხოლოდ ისტორიკოსები არ არიან საკმარისნი, რადგან ისტორიკოსმა იცის მხოლოდ საგნის შინაარსი და არ იცის, როგორ მიანოდოს იმ საგნის შინაარსი მოსწავლეს.

ფსიქოლოგი, კლინიკური ფსიქოლოგის დარგის სპეციალისტი კონსტანტინე პოზოვი პირად გამოცდილებას იხსენებს, როცა მის ბავშვობაში სკოლებს ეწვეოდნენ სამამულო ომის ვეტერანები და საკუთარ ისტორიებს ყვებოდნენ. ეს ცხოვრებისეული ისტორიები იყო, ზოგი სევდიანი, ზოგიც მეგობრობის, ვაჟკაცობის ამსახველი. ყველაფერი ამის გათვალისწინებით, კონსტანტინე პოზოვი მიიჩნევს, რომ არ არის ცუდი, როცა უშუალოდ ცოცხალი მემკვიდრეები გვიყვება თავს გადამხდარ ისტორიებს. თუმცა აქ მთავარია ამ კონკრეტული საგნის ფორმატი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რა მიზანი აქვს ამ საუბარს, რას ემსახურება, ეს არის სიძულვილის რიტორიკა, რომ ჩვენ მტრები გვყავს, თუ ჩვენი საკუთარი შეცდომების გააზრება, გაჭირვებაში მყოფი ადამიანების თანადგობა. თანაც, უნდა გავითვალისწინოთ ბავშვების ასაკობრივი ჯგუფი, სხვადასხვა ასაკის ბავშვებთან სხვადასხვანაირად უნდა ვისაუბროთ ომზეც და გაჭირვებაზეც, - მიაჩნია კონსტანტინე პოზოვს.

მანანა ნოზაძე

ალიარება

ზვიადის სპორტი

შიდაობის მსოფლიოს ფედერაციამ ბერძნულ-რომაული სტილის ფალავანი ზვიად პატარიძე 23-წლამდელთა შორის 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენად აღიარა.



ბუკებში, 3-ჯერ – 20-წლამდელთა შორის და 23-წლამდელთა შორის

კახან დოლიძე

კალათბურთი

ქართული ნაკრები

მსაბუნძობა „ბასკონია“ ვეროლიგის მორიგ ტურში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იხილა, რაშიც ლომის წილი საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელებმა თორნიკე შენგელიამ და მეტ ჯენინგსმა დაიდეს. ჯამში მათი მონაგარი 36 ქულაა.



ვიტალი ჯაფარიძე

რაბი ჩენი თავაზია!

„ლოკომოტივი“ კლავ ბონუსზე ფიქრობს

თბილისის „ლოკომოტივი“ გუნდის რომელიც იტალიის ჩრდილოეთში – კალეზანოში გაემგზავრა, სადაც კონტინენტის ფარის მეოთხე ტურის მატჩს დაესტამბა.

საქართველოს ჩემპიონი იტალიაში უკვე ერთი კვირა იმყოფება – გასულ შაბათს რომში „ფიამე ოროს“ შეხვდა და ბოლო წუთზე გატანილი ლელო-გარდასახვით გამარჯვება მოიპოვა – 29:22. საგულისხმოა, რომ შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე რკინიგზელები მეტოქეს 12 ქულით ჩამორჩებოდნენ (10:22), თუმცა, მერე სამი ლელო გაიტანეს და გამარჯვებასთან ერთად ბონუსიც ჩაიწერეს.

მეორე ტაიმის შუაში „ჩავარდნაზე“ და საბოლოოდ მატჩის მოგებაზე გუნდის მწვრთნელი სიმონ მანისურაძე ამბობს: „ძალიან მჭიდრო სამგზავრო გრაფიკი გვქონდა, რამაც გარკვეულწილად მნიშვნელოვანი დადებითი გამოიწვია. სწორედ ამ დადებითობამ იჩინა თავი „ფიამე ოროსთან“ მატჩის შუაში და პატარა ჩავარდნა გვქონდა, თუმცა, მერე შეცვლები განვასორციელეთ, მოედანზე დასვენებული მორაგბეები შევიდნენ და თამაში მაღალ დონეზე დაგვასრულეთ. მთლიანობაში კმაყოფილები ვართ. ბიჭებმა იბრძოლეს, სული და გული დადეს და ეს გამარჯვება 100%-ით მათი დამსახურებაა.“

„ფიამე ოროსთან“ მძიმე ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ „ლოკომოტივი“ ორი დღე დისვენა, ძალები აღიდგინა და სამშაბათსა და ოთხშაბათს თითო-თითო ვარჯიში გამართა.

მისურაძე ამბობს, რომ აქცენტი დაცვაში დასვენებული შეცდომების გამოსწორებაზე გაკეთდა. „კალეზანო“ წინა მეტოქეზე უფრო ძლიერი გუნდია, თუმცა, საქართველოს ჩემპიონს გამარჯვების შანსი აუცილებლად ექნება: „დაცვაში გვექონდა გარკვეული შტრისები გამოსასწორებელი და ორი დღე ამაზე ვიმუშავებთ. ჩვენი ერთ-ერთი პლიუსი ისაა, რომ შეცვლაზე მეოფი მორაგბეები ძირითად 15-ში მოხვედრილებს არაფრით ჩამოუვარდებიან და ცვლილებების შემდეგ თამაშის ხარისხი არ კლებულობს. ვფიქრობთ, რომ „კალეზანოსთან“ მაღალ ტემპს 80 წუთი გავუძლებთ და სასურველ შედეგს მივაღწევთ. ეს იოლი არ იქნება, რთული თამაში გველის, თუმცა, თუ ჯგუფიდან გასვლა გვინდა, მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ და ბონუსის აღებაზე ვიფიქროთ.“

„ფიამე ოროსთან“ მატჩში ტვინის შერყევა მიიღო და „ლოკომოტივს“ მომავალ შეხვედრაში ვერ დაეხმარება გიგა გაგოშვილი. თავს უკეთ გრძნობს გიორგი შკინინი და, შესაძლოა, სამატჩო 23-კაციან განაცხადში ვიხილოთ. კონტინენტის ფარზე „ლოკომოტივი“ „კალეზანოს“ დღეს თბილისის დროით 18 საათზე (ადგილობრივი დროით 15:00) დაუპირისპირდება. მატჩის პირდაპირ ტრანსლიაციას ტელეკომპანია „რაბი თივი“ გახსორციელებს.

კობა კობახიძე

ქიულო

დღას ჩინეთში პინუაბი...

მართლაც ქიუდოსტებმა, რომლებიც ჩინეთის ქალაქ გუანჩოუში დაგეგმილ მასტერსზე არიან დარეგისტრირებული, მეტოქეთა ვინაობა შეიტყვეს.

შეგახსენებთ, რომ სულ ტატამზე შევიდ ჩვენებურს ვიხილავთ, მათგან 2 – ამირან პაპინაშვილი და ლუხუმი ჩხვიმიანი კი ძალებს უმსუბუქეს – 60 კგ-მდე წონით კატეგორიაში მოსინჯავს.

პაპინაშვილს პირველი განთესვა აქვს და ბრძოლაში მე-2 წრიდან ჩაებმება, სადაც მისი მეტოქე ჩინელი იი შანი იქნება. თუკი ამირანმა მას აჯობა, მეოთხედფინალში რუს ისლამ იაჰუშევსა და ბრაზილიელ ფელიპე პელიმს შორის უმჯობესთან ჭიდილი ელის.

ასევე მე-2 რაუნდიდან გავა ტატამზე

ოლიმპიადის ფინალისტი) და ირანელ მოპამად მოპამადს (მსოფლიოს მოქმედი ბრინჯაოს პრიზიორი) შორის წარმატებულს დაუპირისპირდება.

ქართულ დელეგაციას მონაწილე არ ჰყავს 81 კგ-ში, 90 კგ-მდე წონით კატეგორიაში კი საქმეში ბექა ღვინიაშვილს ვიხილავთ. ჩვენებური მე-2 წრეში ჰოლანდიელ ნოელ ვან ტენდს გაეჯობება და თუ მას გაეცდა, სერბ ალექსანდარ კუკოლსა და ტაჯიკ კომპრონშოს უსტოპირიონს შორის უმჯობესს შეხვდება. ვთქვათ ისიც, რომ ამ წონაში უმთავრეს ფავორიტად ესპანეთის სახელით მოასპარევე ნიკოლოზ შერაზადიშვილი მიიჩნევა, რომელსაც ღვინიაშვილი ფინალამდე არ შერკინება.



ჩხვიმიანი, რომელიც რუსეთის სახელით მოასპარევე – 2017 წლის ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს მოქმედ ვერცხლის მედალოსან რობერტ მშვიდოშაძეს დაუპირისპირდება. წარმატების შემთხვევაში ლუხუმი ნახევარფინალის საგზურს ბრაზილიელი ერიკ ტაკაბატაკესა და ბრიტანელი ეშლი მაკკენზის შერკინებაში გამარჯვებულს შეეცილება.

ასევე პირველი განთესვა აქვს ვაჟა მარგველაშვილს (66 კგ.), რომელიც მე-2 წრეში კუბელ ოსნიელ სოლისს ელის. მისივე ჯგუფში არიან ყაზახი იელდოს ჟუმაკანოვი, რუსი იაკუბ შამილოვი და უზბეკი შახრამ ახადოვი.

მხოლოდ 16 მონაწილეა 73 კგ-მდე წონით კატეგორიაში, სადაც საქართველოს ლიდრებს ლაშა შავდათუაშვილი და იცავს. ქართველი ქიუდოსტი შეჯიბრში თურქ ბილალ ჩილოღლუსთან შეხვედრით ჩაებმება, ხოლო თუ იმარჯვებს, მეოთხედფინალში აზერბაიჯანელ რუსტამ ორუჯოვსა (2016 წლის

საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვარლამ ლიპარტელიანი 100 კგ-ში პირველ ნომრად განთესილი და მასტერსში მე-2 წრიდან რუს ნიაზ ბილალოვთან შერკინებით ჩაებმება. თუკი ქართველმა ქიუდოსტმა მას სძლია, მეოთხედფინალში აზერბაიჯანელ ელმარ გასიმოვსა და ირლანდიელ ბენჯამინ ფლეტჩერს შორის უკეთესს დაელოდება.

დასასრულ, მძიმე წონაზეც (+100 კგ.) ვთქვათ, სადაც პირველ ნომრად ასევე ქართველი – გურამ თუშიშვილი დგას. მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი მე-2 წრეში ყირგიზ იური კრაკოვეცკის დაუპირისპირდება და თუკი მისი ბარიერი დასძლია, ნახევარფინალის საგზურისთვის ავსტრიელი სტეფან ჰეგისა და რუსი ინალ ტასოვეის ორთაბრძოლაში გამარჯვებულს შეხვდება. მასტერსის რეგლამენტის თანახმად, დღეს მედლები გაუთა 60, 66 და 73 კგ-მდე წონით კატეგორიებში გათამაშდება, ხვალ კი – 81, 90, 100 და +100 კგ-ში.

მანუჩარ გიორგაძე

ფეხბურთი

ამჯერად გადაჩა


ევროპა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩში „ვილიარეალმა“ მოსკოვის „სპარტაკს“ 2:0 მოუგო და კვარტეტში ბოლო ადგილზე ჩატოვა, თუმცა, ჩვენთვის სხვა რამაა საინტერესო. მოსკოველთა შემადგენლობაში საქართველოს ნაკრების შუახაზელი ჯანო ანანიძე 74-ე წუთზე გამოჩნდა ლუის ადრიანოს ნაცვლად, 89-ზე კი მასპინძელთა მცველმა ხაუმე კოსტამ მას უკნიდან ძალიან მტკივნეულად ჩაარტყა ფეხი. მსაჯმა ესპანელი მყის გააძევა.

ჯანოს თანაგუნდელები გიორგი ჯიქია და ილია კუტეპოვი გამოეყომაგნენ და მინდორზე ვითარება დაიძაბა, ლატვიელმა არბიტრმა ანდრის ტრეიმანისმა კი ორივეს ყვითლები ჩამოურიგა. თუმცა, ეპიზოდ აღარ გართულებულა და ჯანო, საბედნიეროდ, მორიგ ტრავმას გადაურჩა.



გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან



„იუვენს“ არ ღალატობს

ისეთი პოპულარულ ევროპულ კლუბს, როგორც „იუვენტუსია“, ცნობილი ქომავი შხვართები ალბათ არასოდეს დაეღუფა. თუმცა, ტურინელთა მრავალრიცხოვან მოტრფიალეთა შორის მაინც არიან გამორჩეულნი, რომელთა ხილვა გუნდის ქომავებს მართლაც რომ ერთ რამედ უღირთ.

წარმოშობით პიემონტელი ლამაზმანი მარგო ოვანი უკვე ათ წელზე მეტია, რაც მაღალი მოდის წარმომადგენელ ბანონანად ითვლება და ცხოვრების არცერთ ეტაპზე მას არასოდეს უთქვამს უარი თავის ოდიტანდელ სიყვარულზე, რომელსაც სახელად „იუვენტუსი“ ეწოდება და რომლის საშინაო მატჩებსაც თითქმის არ ტოვებს. მარგო ოვანის არასოდეს უთქვამს, რომ ის „ბებერი ქალბატონის“ თილისმაა, გუნდის სახეა და მისთანანი. იგი მუდამ ამბობს, რომ ამ კლუბის რიგითი ქომავის სტატუსითაც ერთობ კმაყოფილია და არ აპირებს მუდმივად იმის მტკიცებას, თუ რატომ უყვარს გუნდი, რომელზეც ბავშვობიდანაა გულშეკრული.

როსტომ რაჭველიშვილი

ბენიოსები, როგორც სკოლაში ცუდად სწავლობდნენ

თანამედროვე მშობლები შეიძლება, რომლებიც სკოლაში ცუდად სწავლობდნენ, ხელს არ იქნევენ, არამედ მათში რომელიმე ნიჭის აღმოჩენას ყველანაირად ცდილობენ. თუმცა ისტორიას არაერთი „ოროსანი“ ახსოვს, რომელმაც ცხოვრებაში დიდ წარმატებას მიაღწია. აი, 15 გენიოსი, რომლებიც სკოლაში ცუდად სწავლობდნენ...

როსა და ბალზაკი



მომავალი მწერლის დედას შვილი იმდენად არ უყვარდა, რომ დაბადებისთანავე ძიძას მიიბარა, ვისთანაც მან ბედნიერი ბავშვობა გაატარა. თუმცა მალე ბედმა უმტყუნა: მამამისმა ის კოლეჯში გააგზავნა, რომელსაც სასულიერო პირები ხელმძღვანელობდნენ. სასწავლო დაწესებულება წარმოადგენდა რაღაც საშუალოს ციხესა და მონასტერს შორის, მშობლებს აღსაზრდელები სახლში არ დადებდნენ. იმდენად არ უყვარდათ. ონორე მშობლებზე იმდენად ნაწყენი და მარტოსული იყო, რომ სწავლა უბრალოდ არ უნდოდა. არაა გასაკვირი, რომ მალე მან ზედმეტსახელები „ზარმაცი“ და „სულელი“ დაიმსახურა. თუმცა ის სულელი სულაც არ იყო, უბრალოდ მას ზუსტი მეცნიერებები არ აინტერესებდა, კითხვაზე კი გიჟდებოდა. ცუდი ქცევის გამო კარცერში გაგზავნილი მოსწავლე დროს კითხვაში ატარებდა. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მამას მისი სახლში წამოყვანა მოუწია. ონორემ კიდევ ორ სასწავლო დაწესებულებაში სცადა განათლების მიღება, თუმცა ამაოდ. ბოლოს მამამ შვილზე ხელი ჩაიქნია, თუმცა ყველაფერი კარგად დასრულდა არა მხოლოდ ონორესთვის, არამედ მსოფლიო ლიტერატურისთვისაც.

ვლადიმერ მაიაკოვსკი



პირველი სამი კლასი ვლადიმერი მხოლოდ ხუთეულზე სწავლობდა, მაგრამ 1905 წელს ქუთაისში, სადაც მომავალი პოეტი ცხოვრობდა, რევოლუციურმა განწყობამ მოიცვა. 11 წლის ასაკში ის რევოლუციურ წრეებში მოხვდა და სწავლა მისთვის უბრალოდ უინტერესო გახდა. 1906 წელს მამამისის გარდაცვალებისა და მოსკოვში გადასახლების შემდეგ მან სწავლას თავი საერთოდ დაანება. ამგვარად ვლადიმერმა „კაცობრიობის კულტურის აკვანი“ სიცოცხლის ბოლომდე შეიძულა, რაც მის ახალგაზრდული მაქსიმალური გაყვლითი შემოქმედებაშიც ჩანს.

ანტონ ჩეხოვი




მოკლე თხრობის მომავალი ოსტატი გეოგრაფიასა და არითმეტიკაში გამოყოლილი ორიანების გამო მესამე კლასში ჩარჩა. მესამე კლასში იგივე მდგომარეობაში ბერძნულ ენაში გამოყოლილი ნიშნის გამო ჩავარდა. საინტერესოა, რომ რუსულ ენასა და ლიტერატურაში მას სამიანი ჰყავდა. საქმე იმაში იყო, რომ ბიჭუნა იძულებული გახლდა, მთელი თავისუფალი დრო მამისთვის დაეთმო, რომელსაც პატარა დახლი ჰქონდა, ვაჭრობდა და დახმარებას საჭიროებდა. სიტუაცია უფროს კლასებში შეიცვალა: მამის გაკოტრების შემდეგ ოჯახი მოსკოვში გადასახლდა, სადაც ჩეხოვმა სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა და ლიტერატურით დაინტერესდა.

ლევ ტოლსტოი

16 წლამდე „ომი და მშვიდობის“ მომავალი ავტორი განათლებას სახლში იღებდა. ბიჭი მასწავლებელს სერიოზულად არ აღიქვამდა და გაკვეთილებს თავს ყველანაირად არიდებდა. შემდეგ ტოლსტოი ყაზანის საიმპერატორო უნივერსიტეტში ჩარიცხა, რუსეთის ისტორიასა და გერმანულ ენაში გამოყოლილი დაბალი ნიშნის გამო ის კურსზე ჩარჩა. მესამე კურსზე ტოლსტოი ფრანგი ფილოსოფოსების ნაშრომებმა გაიტაცა. ფორმალური განათლებით იმედგაცრუებული

ბულმა ახალგაზრდამ უნივერსიტეტი დატოვა და მას დიპლომიც არ აუღია.


ლივიჩიკი პეტელეაჟი



მეცნიერი საგანმანათლებლო სისტემასა და რუსულ მეცადინეობებს ვერ იტანდა. მისი ნიშნები ორიანებსა და სამიანებს არ აღემატებოდა და ის ვერ ხვდებოდა თუ რისთვის სჭირდებოდა, მას აბსტრაქტული ცოდნა. ქიმიური ელემენტების ცხრილის მომავალ შემქმნელს მხოლოდ მათემატიკა და ფიზიკა აინტერესებდა.


ბოვან პილსონი

7 წლის ასაკში ედისონი ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში გაუშვეს. მისი მასწავლებელი იყო მოძღვარი, რომელიც მოსწავლეებს დიდი მოცულობის ტექსტების დაზეპირებას აიძულებდა. სწავლის დაწყებიდან 1 თვეში უკვე იროსანი იყო, ხოლო 3 თვეში სკოლაში დაბარებული მის მშობლებს გამოუცხადეს, რომ მათი შვილი არის სულელი და მისი სახლში წაყვანა სჯობს. ედისონის მშობლებიც ასე მოიქცნენ: შედეგად მას სახლში დედა ასწავლიდა. კითხვის ათვისების შემდეგ სწავლის სურვილი მაინც გაუჩნდა და საერთო საგანმანათლებლო მეცნიერებებს სიამოვნებით შთანთქავდა. ალბათ, ედისონის პედაგოგს გაუკვირდებოდა, რომ მისმა ყოფილმა მოსწავლემ კომპანია General Electric დააარსა, მილიონერი და ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გამომგონებელი გახდა.



ალბერტ აინშტაინი

ენციკლოპედიური შემთხვევა. თანამედროვე ფიზიკის დადფუნდებელი, ნობელის პრემიის მომავალი ლაურეატი, ალბერტ აინშტაინი 4 წლამდე დუმდა, კითხვა კი 7 წლის ასაკში ისწავლა. ცუდი სწავლის გამო ის სკოლიდანაც გააგდეს. ამის შემდეგ მომავალი გენიოსის განათლებას მისი ბიძა კურირებდა და ისეთ დავალებებს აძლევდა, რომლებიც სასკოლო დონეს აღემატებოდა. სხვა ვერსიით აინშტაინი კარგად სწავლობდა, მაგრამ მასწავლებლის ავტორიტეტს პატივს არ სცემდა, რის გამოც ის სასწავლო დაწესებულებიდან გარიცხეს. ასევე დადგენილია, რომ აინშტაინი აუტისტი იყო. მონივრულ ასაკშიც კი მას არ აინტერესებდა ჰუმანიტარული მეცნიერებები, ის ცუდად წერდა და კითხულობდა, თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად მან ფარდობითობის თეორია მაინც ამოხსნა.



ისააკ ნიუტონი

ის ბიჭი სკოლის ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მოსწავლე იყო. მას მათემატიკისა და ფიზიკის სწავლა განსაკუთრებულად უჭირდა. ერთხელ სკოლაში ისააკი კლასელმა სცემა და მან გადწყვიტა დაემტკიცებინა, რომ ის უფრო „მაგარი“ იყო. რამდენიმე თვეში ის კლასის საუკეთესო მოსწავლე გახდა. სავსებით შესაძლებელია, რომ ყველაზე რთულ საგნებში კოლოსალური ძალისხმევით ჩადების შემდეგ ის იმდენად დაინტერესდა, რომ მათ მთელი ცხოვრება მიუძღვნა.



EDU.ARISGE

სანთელი

უახლოესი მეგობრები ყოფილი პირველი ვაჟთა სკოლიდან თამაზ შილაბაძე და თეიმურაზ ებრაელიძე დიდი გულსტკივილით იხსენიებენ, რომ ორმოცი დღის წინ გარდაიცვალა მათი თანაკლასელი, სკოლის ასაკშივე განსაკუთრებული ნიჭით, თავმდაბლობითა და კეთილშობილებით გამორჩეული, შემდგომ კი წარჩინებული ფიზიკოსი და მათმსვლელი

ბოგი როსტომაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულწრფელად უთანაგრძნობს კოალიცია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელსა და თავმჯდომარეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილის ძვირფასი დედის, ქალბატონ

ციცინო ივანიშვილის

გარდაცვალების გამო.

პაპა-ფუაპლას ბაგშირზე პაპრიის უელბად ოთხი ალაშიანი დაუპაღა

არსებული ინფორმაციით, ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. ავარიის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა. ისინი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ქუთაისი-პანის გზაზე

მიკროავტობუსი გადაბრუნდა!

ქუთაისი-პანის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. გუშინ, დილის 7 საათზე მიკროავტობუსი გადაბრუნდა.

თვითმხილველების განცხადებით, მიკროავტობუსს ცხენებმა გადაუბრუნეს, რა დროსაც სატრანსპორტო საშუალება სავალი ნაწილიდან გადავიდა და ამობრუნდა. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა დაშავდა 8 ადამიანი.

ერთ-ერთმა უარი განაცხადა სამედიცინო დახმარებაზე, დანარჩენ შვიდს კი ადგილზე გაენია პირველადი სამედიცინო დახმარება. დაშავებულებს სხვადასხვა დაზიანება აქვთ. მათგან 3 გადაყვანილია ქუთაისში, ცხაკაიას კლინიკაში, დანარჩენი კი თბილისში ინგოროვას კლინიკაში, - აცხადებენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებაში.

ეკოლოგიის მსდელობა და 8-წლიანი პატიმრობა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებული გ.ს. დამნაშავედ ცნო.

2018 წლის 31 აგვისტოს, თბილისში გ.ს.-მ შელაპარაკების ნიშნულზე, მოკვლის მიზნით, თ.ჩ.-ს დანით თავის, კისრის და გულმკერდის არეში მიაყენა ჭრილობები და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შედეგად თ.ჩ.-ს სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

სამართალდამცველებმა გ.ს. იმავ დღეს ქ.წნორში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.


თბილისის საქალაქო სასამართლომ გ.ს. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

პერაზე 4 ახალგაზრდა დაჭრეს!

თბილისში, ტატიშვილის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის შედეგად ოთხი ახალგაზრდა დაიჭრა. არსებული ინფორმაციით, კონფლიქტი სტუმრებს შორის ჯერ ერთ-ერთ კლუბში დაიწყო, შემდეგ კი გარეთ შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

უცნობია, რა გახდა კონფლიქტის მიზეზი. დაშავებულებიდან სამი ლუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს, 2-ს უკვე ჩაუტარდა გადაუდებელი ოპერაცია. ერთი ახალგაზრდა კი ალადაშვილის კლინიკაშია მოთავსებული, რომელსაც ასევე ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. ექიმების ინფორმაციით, ოთხივეს მდგომარეობა სტაბილურია და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მომხდარზე გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით დაიწყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულია სავარაუდო დამნაშავეც.



ს.ს.ი.პ - ნიალის ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო ნიალის ეროვნული სააგენტოს მოპოვების ლიცენზიის განცხადების მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო ნიალის ეროვნული სააგენტოს მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი ნიალის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1		ობიექტი №2
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ ნიალის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო ნიალის ეროვნული სააგენტოს ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) სასარგებლო ნიალის ეროვნული სააგენტო უნდა განხორციელებდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.</p> <p>ბ) ლიცენზიის მფლობელმა ობიექტის დამუშავების პროცესში უზრუნველყოს ახლომდებარე შენობების მდგრადობა;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო ნიალის ეროვნული სააგენტოს ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო ნიალის ეროვნული სააგენტოს ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტერის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს საავტომობილო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენარეაბილიტაცია.</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.</p> <p>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.</p> <p>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.</p> <p>თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.</p> <p>ი) ლიცენზიის მფლობელს ნიალის ეროვნული სააგენტოს პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.</p> <p>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღისეულის მოპოვების განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შესაბამისი მითითებები;</p> <p>ლ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო ნიალის ეროვნული სააგენტოს ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო ნიალის ეროვნული სააგენტოს ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო ნიალის ეროვნული სააგენტოს ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) სასარგებლო ნიალის ეროვნული სააგენტო უნდა განხორციელებდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.</p> <p>ბ) სასარგებლო ნიალის ეროვნული სააგენტო უნდა განხორციელებდეს მდინარის კალაპოტის გასწორებასთან დაკავშირებული სამუშაოების მიმართულებით.</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო ნიალის ეროვნული სააგენტოს ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო ნიალის ეროვნული სააგენტოს ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტერის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენარეაბილიტაცია.</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.</p> <p>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.</p> <p>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.</p> <p>თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.</p> <p>ი) ლიცენზიის მფლობელს ნიალის ეროვნული სააგენტოს პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.</p> <p>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღისეულის მოპოვების განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შესაბამისი მითითებები.</p> <p>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული ინერტული მასალა გაიტანოს არა სოფლის გზით, არამედ ალტერნატიული გზით. მდინარის ადიდების შემთხვევაში კი დაიცვას ნაპირები ჩარევისგან რათა ზიანი არ მიაყენოს სათევზე ტბორებს და ახლომდებარე საფორტებს.</p> <p>მ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო ნიალის ეროვნული სააგენტოს ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო ნიალის ეროვნული სააგენტოს ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. ზესტაფონი, რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების ტექნოლოგიური დანარჩენი (კატეგორია - P, მოსაპოვებელი ნიალის ეროვნული სააგენტოს - 1464 ტონა).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. ზესტაფონი, რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	5 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 17 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 15 იანვარს

		წილისეულის ჯამური მოცულობა - 1 130 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ლესიჭინეს მიმდებარე ტერიტორია,
8	აუქციონის საწყისი ფასი	983 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	98.3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	298 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 17 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 15 იანვარს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 15 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 15 იანვარს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №3		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წილის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წილისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) სასარგებლო წილისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წილით სარგებლობის პროექტის მიხედვით;</p> <p>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს მდინარის კალაპოტის გასწორებაზე მოხდის შემთხვევაში.</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წილისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წილისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტერის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენ-რეაბილიტაცია;</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;</p> <p>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყერი პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;</p> <p>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;</p> <p>თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;</p> <p>ი) ლიცენზიის მფლობელს წილისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;</p> <p>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წილისეულის განხორციელებისას გეოინჟინიერი სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შესაბამისი მითითებები;</p> <p>ლ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წილის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წილის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წილით სარგებლობისას იშვიათი მეცენარული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს;</p> <p>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წილისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან</p>

		ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წილისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ლესიჭინეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობისწყლის ქვიშა-ხრემის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წილისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად)- 126 360 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ლესიჭინეს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	84 716 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	8 471.6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	8 672 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 17 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 15 იანვარს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 15 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 15 იანვარს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №4		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წილის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წილისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წილით სარგებლობის პროექტის მიხედვით;</p> <p>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორებაზე მოხდის შემთხვევაში.</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წილისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წილისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტერის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენ-რეაბილიტაცია.</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.</p> <p>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყერი პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.</p> <p>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.</p> <p>თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.</p> <p>ი) ლიცენზიის მფლობელს წილისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.</p> <p>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წილისეულის განხორციელებისას გეოინჟინიერი სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შესაბამისი მითითებები;</p> <p>ლ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების</p>

